

# სს „კორ სტანდარტ ბანკი“

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნასთან ერთად*

## შინაარსი

### დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	1
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	2
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	4

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა .....	5
2. მომზადების საფუძველი .....	5
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები .....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....	20
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები .....	21
6. კლიენტებზე გაცემული სესხები .....	21
7. დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები .....	24
8. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები .....	24
9. გუდვილი .....	25
10. სხვა არამატერიალური აქტივები .....	26
11. საინვესტიციო ქონება .....	27
12. გადასახადები .....	27
13. სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები .....	28
14. სხვა აქტივები და ვალდებულებები .....	29
15. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე .....	30
16. ვალდებულებები კლიენტების წინაშე .....	30
17. სუბორდინირებული ვალი .....	30
18. კაპიტალი .....	31
19. პირობითი ვალდებულებები .....	31
20. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი .....	32
21. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი .....	32
22. სხვა საოპერაციო შემოსავალი .....	32
23. ხელფასები, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები .....	32
24. რისკის მართვა .....	33
25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება .....	41
26. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი .....	43
27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები .....	43
28. კაპიტალის ადეკვატურობა .....	44

## დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს „კორ სტანდარტ ბანკის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩავატარეთ სს „კორ სტანდარტ ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2012 წლის 31 დეკემბრის თარიღით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის მომზადებული სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებებისგან, სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

### **აუდიტორების პასუხისმგებლობა**

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარმოდგენაზე. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავგვემოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ზემოაღნიშნული რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლის სისტემა ორგანიზაციის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, რათა დაგვემოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### **მოსაზრება**

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სს „კორ სტანდარტ ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მათი ფინანსური საქმიანობის შედეგებს და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

**ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათასი ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	<b>2012</b>	<b>2011</b>
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	64,784	41,946
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში		24,542	18,648
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	204,007	186,873
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7	18,017	8,824
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	8	10,516	16,168
გუდვილი	9	20,374	20,374
სხვა არამატერიალური აქტივები	10	7,284	8,922
საინვესტიციო ქონება	11	3,135	-
მიმდინარე მოგების გადასახადი აქტივი		209	209
გადავადებული საგადასახადო აქტივები	12	361	305
სხვა ფინანსური აქტივები	13	1,624	588
სხვა აქტივები	14	5,765	4,833
<b>სულ აქტივები</b>		<b>360,618</b>	<b>307,690</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	15	84	279
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	16	264,956	218,658
სხვა ფინანსური ვალდებულებები	13	1,168	1,342
სხვა ვალდებულებები	14	729	-
სუბორდინირებული ვალი	17	8,336	8,408
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>275,273</b>	<b>228,687</b>
<b>კაპიტალი</b>	18		
საწესდებო კაპიტალი		99,516	99,516
აკუმულირებული ზარალი		(14,171)	(20,513)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>85,345</b>	<b>79,003</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>360,618</b>	<b>307,690</b>

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ:

ნათია ჭყოიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ჭიჭილაშვილი

ფინანსური დირექტორი

4 აპრილი, 2013 წ.

**სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**

(ათასი ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	<b>2012</b>	<b>2011</b>
საპროცენტო შემოსავალი		47,949	36,943
საპროცენტო ხარჯი		(21,470)	(17,292)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	20	<b>26,479</b>	<b>19,651</b>
სესხის გაუფასურების რეზერვის ამობრუნება/(ხარჯი)	6	(3,818)	(1,845)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების დანარიცხის შემდგომ</b>		<b>22,661</b>	<b>17,806</b>
წმინდა საკომისიო შემოსავალი	21	1,808	1,936
წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან		2,141	2,210
სხვა შემოსავალი	22	239	242
წმინდა ზარალი/(შემოსულობა) საკურსო სხვაობებიდან		(147)	(3)
<b>სხვა არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>4,041</b>	<b>4,385</b>
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	23	(9,274)	(8,745)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(6,027)	(5,995)
ცვეთა და ამორტიზაცია	8,10	(4,064)	(4,680)
ზარალი საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად	11	(1,051)	-
<b>სხვა არასაპროცენტო ხარჯები</b>		<b>(20,416)</b>	<b>(19,420)</b>
<b>მოგება გადასახადით დაბეგრამდე</b>		<b>6,286</b>	<b>2,771</b>
მოგების გადასახადის სარგებელი	12	56	741
<b>წმინდა მოგება</b>		<b>6,342</b>	<b>3,512</b>
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>6,342</b>	<b>3,512</b>

თანდართული შენიშვნები 5-45 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	<i>სააქციო კაპიტალი</i>	<i>აკუმულირებული ზარალი</i>	<i>სულ კაპიტალი</i>
<b>31 დეკემბერი, 2010 წ.</b>		<b>75,000</b>	<b>(24,025)</b>	<b>50,975</b>
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	3,512	<b>3,512</b>
სააქციო კაპიტალის გაზრდა	18	24,516	-	<b>24,516</b>
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>		<b>99,516</b>	<b>(20,513)</b>	<b>79,003</b>
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	6,342	<b>6,342</b>
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>		<b>99,516</b>	<b>(14,171)</b>	<b>85,345</b>

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**

(ათასი ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	<b>2012</b>	<b>2011</b>
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული პროცენტი		46,986	38,110
გადახდილი პროცენტი		(19,418)	(17,433)
მიღებული საკომისიო		5,250	4,740
გადახდილი საკომისიო	21	(3,470)	(2,804)
წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან		2,141	2,210
მიღებული სხვა საოპერაციო მოგება		426	243
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	23	(9,274)	(8,745)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(5,756)	(5,788)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>16,885</b>	<b>10,533</b>
წმინდა ზრდა საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებულ სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებში		(5,857)	(14,508)
წმინდა ზრდა კლიენტებზე გაცემულ სესხებში		(21,991)	(51,158)
წმინდა კლება სხვა ფინანსურ აქტივებში		583	2,973
წმინდა (ზრდა)/კლება სხვა აქტივებში		(235)	287
წმინდა კლება ვალდებულებებში საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(194)	(2,465)
წმინდა ზრდა ვალდებულებებში კლიენტების წინაშე		42,610	50,072
წმინდა კლება სხვა ფინანსურ ვალდებულებებში		(208)	266
წმინდა ზრდა სხვა ვალდებულებებში		566	12
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადით დაბეგრამდე</b>		<b>32,159</b>	<b>(3,988)</b>
მოგების გადახდილი გადასახადი		-	-
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>32,159</b>	<b>(3,988)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		(24,431)	(6,091)
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი		15,324	-
შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების შესყიდვა	8	(1,017)	(1,860)
შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი		177	437
სხვა არამატერიალური აქტივების შესყიდვა	10	(167)	(31)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(10,114)</b>	<b>(7,545)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>			
ჩვეულებრივი აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი	18	-	24,516
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>-</b>	<b>24,516</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		793	(893)
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>		<b>22,838</b>	<b>12,090</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისი</b>	5	<b>41,946</b>	<b>29,856</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს</b>	5	<b>64,784</b>	<b>41,946</b>

თანდართული შენიშვნები 5-45 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

(ათასი ლარი)

## 1. ძირითადი საქმიანობა

სს „კორ სტანდარტ ბანკმა“ (შემდგომში „ბანკი“) საქმიანობა დაიწყო 2008 წლის 6 მარტს სს „სტანდარტ ბანკის“ აქციების 100% შესყიდვის შემდეგ. „ბანკი“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „სებ“; საქართველოს ცენტრალური ბანკი) მიერ 2008 წლის 25 თებერვალს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე.

„ბანკი“ იღებს ანაზღაურებას მოსახლეობისგან, გაცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კომერციულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. „ბანკის“ სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ბანკის“ 18 ფილიალი მოქმედებს საქართველოს ყველა დიდ ქალაქში (2011 წ.: 19). „ბანკის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0103, ქეთევან წამებულის მოედანი #3.

31 დეკემბრის მდგომარეობით „ბანკის“ აქციებს ფლობენ შემდეგი აქციონერები:

<i>აქციონერი</i>	<i>2012</i> <i>%</i>	<i>2011</i> <i>%</i>
შეიხ ნაჰაიან მახარაკ ალ ნაჰაიან	45%	45%
შეიხ ჰამდან ბინ ზაიედ ალ ნეჰაიან	20%	20%
შეიხ მოჰამედ ბუტტი ალ ჰამედ	15%	15%
შეიხ მანსოორ ბინ სულთან ალ ნეჰაიან	15%	15%
შპ „ინვესტმენტ ტრეიდინგ გრუპი“	5%	5%
<b>სულ</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>

„ჯგუფის“ საქმიანობას აკონტროლებს შეიხ ნაჰაიან მახარაკ ალ ნაჰაიანი.

## 2. მომზადების საფუძველი

### ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდგომში „ფასს“) შესაბამისად.

ზედამხედველობის მიზნებისათვის „ბანკს“ და მის შვილობილ კომპანიას (შემდგომში „ჯგუფი“) მოეთხოვებათ აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება ლარში ბუღალტრული აღრიცხვისა და საბანკო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის და თანმდევნი ინსტრუქციების შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ეყრდნობა „ჯგუფის“ ჩანაწერებსა და გატარებებს, რომლებიც შემდგომში კორექტირებული და რეკლასიფიცირებულია „ფასს“-ის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებების მეთოდით, გარდა წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

### შვილობილი კომპანია

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შემდეგ პირდაპირ დაქვემდებარებულ შვილობილ კომპანიას მოიცავს:

<i>შვილობილი კომპანია</i>	<i>რეგისტრაციის ქვეყანა</i>	<i>„ბანკის“ წილი %</i>		<i>დაფუძნების თარიღი</i>	<i>ოპერაციების ტიპი</i>
		<i>2012</i>	<i>2011</i>		
შპს „სტანდარტ დაზღვევა“	საქართველო	100%	100%	29 სექტემბერი, 2007 წ.	დაზღვევა



(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

#### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

წლის განმავლობაში „ჯგუფმა“ მიიღო შემდეგი ახალი „ფასს“ სტანდარტები და მათი ცვლილებები. ამ ცვლილებების ძირითადი გავლენა ასეთია:

*ბასს (IAS) 24 "დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები" (შეცვლილი რედაქცია)*

შეცვლილი ბასს 24 გამოიცა 2009 წლის ნოემბერში და ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ამარტივებს მოთხოვნებს სამთავრობო ორგანიზაციების მიმართ და განმარტავს დაკავშირებული მხარის დეფინიციას. მანამდე, მთავრობის კონტროლს ან გავლენას დაქვემდებარებულ ორგანიზაციას იმავე მთავრობის კონტროლს ან მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ სხვა ორგანიზაციებთან დადებული ყველა გარიგების შესახებ მოეთხოვებოდა ინფორმაციის წარმოდგენა. შეცვლილი სტანდარტის მიხედვით ამ გარიგებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გარიგებები ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში მნიშვნელოვანია. ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან „ჯგუფი“ არ არის სამთავრობო ორგანიზაცია.

*ბასს (IAS) 32 "ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა: უფლებების ემისიის კლასიფიკაცია (შეცვლილი რედაქცია)*

2009 წლის ოქტომბერში ბასსს-მა გამოაქვეყნა ბასს 32-ის ცვლილებები. ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ეს ცვლილებები 2010 წლის 1 თებერვალს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ცვლილებები აისახება ბასს 32-ის ფინანსური ვალდებულების განმარტებაზე, რომლის შედეგადაც უფლებათა ემისიები, გარკვეული ოფიონები და ვარანტები კლასიფიცირდება წილობრივ ინსტრუმენტებად. ეს ცვლილება გამოყენებადი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, კომპანიის ერთი და იმავე კლასის არაწარმოებადი წილობრივი ინსტრუმენტის ყველა მფლობელს მიეცემა პროპორციული უფლება, შეისყიდოს ამავე კომპანიის არაწარმოებადი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობა ნებისმიერი ვალუტის ფიქსირებული თანხის სანაცვლოდ. ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ფაისკ (IFRIC) 19 "ფინანსური ვალდებულებების წილობრივი ინსტრუმენტებით დაფარვა"*

ფაისკ 19-ის ინტერპრეტაცია გამოქვეყნდა 2009 წლის ნოემბერში და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ივლისს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ინტერპრეტაცია განმარტავს აღრიცხვის წესს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ფინანსური ვალდებულების პირობები მხარეთა შეთანხმებით იცვლება და ამის შედეგად ფინანსური ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ დასაფარად კომპანია კრედიტორისთვის წილობრივ ინსტრუმენტებს უშვებს. ინტერპრეტაციას გავლენა არ მოუხდენია „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

#### *ფასს-ის გაუმჯობესებები*

2010 წლის მაისში ბასსს-მ გამოსცა მისი სტანდარტების ცვლილების მესამე კრებული, რომლის ძირითად მიზანს უზუსტობათა აღმოფხვრა და ტექსტობრივი განმარტებები წარმოადგენდა. ცვლილებათა უმეტესობა ეხება 2011 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებს. წარმოდგენილია ასევე ცალკეული გარდამავალი მუხლები თითოეული სტანდარტისთვის. სტანდარტებში და ინტერპრეტაციებში შესულ შემდეგ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია „ბანკის“ სააღრიცხვო პოლიტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობასა თუ შედეგებზე:

- ფასს (IFRS) 3 "საწარმოთა გაერთიანება": ზღუდავს შეფასების არჩევანს. მხოლოდ უმცირესობის წილის ის კომპონენტები, რომლებიც მიმდინარე მფლობელობის წილს წარმოადგენენ და ლიკვიდაციის შემთხვევაში მათ მფლობელებს ანიჭებენ საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციულ წილს, უნდა აღირიცხონ სამართლიანი ღირებულებით ან შეძენილი კომპანიის ამოცნობადი წმინდა აქტივების მიმდინარე მფლობელობის ინსტრუმენტების პროპორციული წილით.
- ფასს (IFRS) 7 "ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები": წარმოადგენს ცვლილებებს რაოდენობრივ და საკრედიტო რისკის განმარტებით შენიშვნებში დამატებით მოთხოვნებმა არ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა, რადგან ინფორმაცია ხელმისაწვდომია.
- სხვა ცვლილებები: ფასს (IFRS) 1-ში, ფასს (IFRS) 3-ში, ბასს (IAS) 1-ში, ბასს (IAS) 27-ში, ბასს (IAS) 34-სა და ფაისკ (IFRIC) 13-ში.
- ფასს (IFRS) 1 "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება" – გარკვეული გამოწვევების დაშვება ფასს 7-ის ანალოგიური განმარტებებიდან მათთვის, ვინც ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს პირველად იყენებს.
- ფაისკ (IFRIC) 14 "დაფინანსების მინიმალური მოთხოვნების წინასწარი გადახდა".

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები – სამეურნეო ერთეულები, რომლებშიც „ჯგუფი“ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტს ან სხვაგვარად აკონტროლებს მათ საქმიანობას, კონსოლიდირებულია. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად მიიჩნევა „ჯგუფის“ კონტროლის უფლების წარმოშობიდან და მათ აღარ გააჩნიათ აღნიშნული სტატუსი კონტროლის შეწყვეტისას. „ჯგუფის“ შიდა ყველა გარიგების, მის შვილობილ კომპანიებს შორის არსებული ნაშთისა და არარეალიზებული შემოსულობის სრულად ლიკვიდაცია ხდება, ასევე ხდება არარეალიზებული დანაკარგების ლიკვიდაციაც, თუ გარიგება არ წარმოადგენს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია „ჯგუფის“ მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის შეცვლის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. ზარალი მიეწერება არასაკონტროლო პაკეტს მაშინაც კი, თუ ეს ზალანსის დეფიციტს იწვევს.

თუ „ჯგუფი“ კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, ის ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს, უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას, კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს; ასახავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას, ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას და მოგებაში და ზარალში დეფიციტს ან მეტობას, ასევე მოახდენს მშობელი კომპანიის კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, რაც უწინ აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში.

#### საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება გამოითვლება შემდეგი კომპონენტების დაჯგუფებით: შესყიდვის დღეს სამართლიანი ღირებულებით გადახდილი საფასური და შეძენილი კომპანიის უმცირესობის წილის მოცულობა. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, მყიდველი საწარმო შეძენილი საწარმოს უმცირესობის წილს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ან მისი ამოცნობადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის შესაბამისად. საწარმოს შესყიდვაზე გაწეული დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯების მუხლში.

როდესაც „ჯგუფი“ შეისყიდის ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის არსებული საკონტრაქტო ვალდებულებების, ეკონომიკური პირობებისა და მშობელი კომპანიის პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შესყიდული კომპანიის მიერ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას ძირითად ხელშეკრულებებში.

თუ საწარმოთა გაერთიანება ეტაპობრივია, შეძენილ კომპანიაში შემძენის მიერ ადრე ფლობილი წილის სამართლიანი ღირებულება შეძენის თარიღისთვის გადაფასდება, როგორც შეძენის თარიღისათვის მოგება-ზარალში ასახული სამართლიანი ღირებულება.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას შეძენის მიერ, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის. პირობითი საფასურის სამართლიან ღირებულებაში შემდგომი ცვლილებები, რომელიც მოიაზრება აქტივად ან ვალდებულებად, აღიარებულ უნდა იქნას ბასს 39-ის შესაბამისად მოგებაში ან ზარალში, ან იმგვარად, როგორც სხვა სრული შემოსავლის ცვლილება. თუ პირობითი საფასური კლასიფიცირებულია კაპიტალად, არ ხდება მისი ხელახლა შეფასება, ვიდრე არ მოხდება მისი საბოლოო კონვერტაცია კაპიტალში.

გუდვილი თავდაპირველად აღირიცხება „ჯგუფის“ შეძენილ ამოცნობად წმინდა აქტივებში გადახდილ საფასურსა და აღებულ ვალდებულებებს შორის სხვაობით. თუ გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გუდვილის შეფასება ხდება თავდაპირველი ღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების შემოწმების მიზნებისათვის, საწარმოთა გაერთიანებისას დარიცხული გუდვილი შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება „ჯგუფის“ ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულებზე, რომლებიც სავარაუდოდ ისარგებლებენ გაერთიანებით, განურჩევლად იმისა, აღნიშნულ ბიზნეს ერთეულებს შეძენილი კომპანიის სხვა აქტივები განეკუთვნება, თუ ვალდებულებები.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

როდესაც გუდვილი განეკუთვნება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულს და ამ ერთეულის ოპერაციების ნაწილი არის გასხვისებული, გასხვისებულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია აღნიშნული ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ხდება ამგვარი ოპერაციის გასხვისებით მიღებული მოგების ან ზარალის განსაზღვრა ასეთ შემთხვევაში, გასხვისებულ ოპერაციაზე გუდვილის განსაზღვრა ხდება ამ ოპერაციის ხვედრითი წილის და ფულადი ნაკადების წარმომქმნელი შენარჩუნებული ერთეულის ნაწილის შესაბამისად.

#### ფინანსური აქტივები

##### თავდაპირველი აღიარება

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქალაქდებად ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. „ჯგუფი“ განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

##### აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც „ჯგუფმა“ აქტივის შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

##### დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდებიან, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქალაქდები, თუ „ჯგუფს“ აქვს დაფარვის ვადამდე მათი ფლობის სურვილი და შესაძლებლობა. ეს განსაზღვრება არ მოიცავს განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. ვადამდე ფლობილი ინვესტიციები შემდეგ ამორტიზებული ღირებულებით აისახება. ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ინვესტიციებისათვის მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ინვესტიციის გაუფასურებისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

##### სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქალაქდები ან გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქალაქდები. აღნიშნული აქტივები აღრიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარება შეწყდება, გაუფასურდება ან ამორტიზდება.

##### სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასით ბალანსის შედგენის თარიღისათვის ან დილერის მიერ შეთავაზებული ფასით (შეთავაზებული ფასი გრძელ პოზიციაზე და მოთხოვნილი ფასი მოკლე პოზიციაზე), ტრანსაქციის ხარჯის გამოკლების გარეშე.

ყველა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელთა საბაზრო პირობებთან შედარება ვერ ხერხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. მათ შორისაა წმინდა მიმდინარე ღირებულების დადგენის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ბაზარზე არსებული მსგავსი ინსტრუმენტების ფასებთან შედარება, ოფციონის ფასდადების მოდელირება და შეფასების სხვა მეთოდები.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

##### ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ეს არ ეხება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებს და დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები მთლიანად წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

##### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

##### სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

„ბანკის“ სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის არმქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც „ჯგუფის“ ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ არის ხელმისაწვდომი და შესაბამისად, არ აისახება, როგორც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემადგენელი ნაწილი ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისათვის.

##### ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად „ჯგუფს“ წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებების, მეანაბრეების წინაშე და სუბორდინირებულ ვალს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში მოგება და ზარალი აღირიცხება მიმდინარე მოგებაში ან ზარალში.

##### იჯარა

##### საოპერაციო იჯარა – „ჯგუფი“, როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი იჯარის პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

##### ფინანსური აქტივების გაუფასურება

„ჯგუფი“ თითოეული საანგარიშგებო თარიღით ასახავს ფინანსური აქტივების ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი “ზარალის ფაქტი”) და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გაგვინა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები

საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას „ჯგუფი“ თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად არამნიშვნელოვნად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურებაც ინდივიდუალურად ფასდება და რომლებზეც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ მონაწილეობს გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღიარდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ისევე ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად რეალიზებულია ან „ჯგუფისთვის“ არის გადაცემული. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ ჩამოწერების ამოღება მომავალში მოხერხდება, ეს ასახება მიმდინარე მოგებაში ან ზარალში.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთს გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს გამოყენებული უზრუნველყოფიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია „ჯგუფის“ შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება ამჟამინდელ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გათვალისწინებულ იქნას ამჟამინდელი პირობები, რომლებიც არ მოქმედებდა ისტორიული ზარალის წლებში, და არ იქნას გათვალისწინებული ისტორიული ზარალის პერიოდის ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და უკავშირდება წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისათვის მომხდარ ცვლილებებს (როგორცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც „ჯგუფში“ ზარალის განმსაზღვრელია). სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადახედვა რეგულარულად ხდება განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მიმდინარე მოგებაში ან ზარალში.

#### დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისათვის „ჯგუფი“ ინდივიდუალურად აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება და ზარალის თანხა აისახება მიმდინარე მოგებაში ან ზარალში.

თუ მომდევნო წელს სავარაუდო გაუფასურების ზარალი მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე დარიცხული ნებისმიერი თანხა კრედიტდება მიმდინარე მოგებაში ან ზარალში.

#### რესტრუქტურული სესხები

საჭიროების შემთხვევაში „ჯგუფი“ ახდენს სესხების რესტრუქტურისა და ნაცვლად იმისა, რომ დაისაკუთროს უზრუნველყოფის საგანი. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

რესტრუქტურისა და ნაცვლის ბუღალტრული აღრიცხვა შემდეგნაირად ხორციელდება:

- თუ სესხის ვალუტა იცვლება, მაშინ ხდება ძველი სესხის აღიარების შეწყვეტა და ახალი სესხის აღიარება.
- თუ სესხის რესტრუქტურისა და ნაცვის არ უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიმძლევებს, „ჯგუფი“ იმავე მიდგომას მიმართავს, როგორც - ქვემოთ აღწერილი ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში.
- თუ სესხის რესტრუქტურისა და ნაცვის უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიმძლევებს და სესხი გაუფასურებულია რესტრუქტურისა და ნაცვის შემდეგ, „ჯგუფი“ აღიარებს სხვაობას ახალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) და საბალანსო ღირებულებას შორის რესტრუქტურისა და ნაცვის შემდეგ, როგორც მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯს. იმ შემთხვევაში, თუ სესხი არ არის გაუფასურებული რესტრუქტურისა და ნაცვის შემდეგ, „ჯგუფი“ ხელახლა ითვლის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის პირობებზე ხელახალი შეთანხმება, სესხი აღარ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს რესტრუქტურისა და ნაცვის მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. გაუფასურებასთან მიმართებაში სესხები კვლავაც ფასდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად და შეფასებისთვის გამოიყენება სესხის თავდაპირველი ან მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

#### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

##### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღება, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა;
- „ჯგუფმა“ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- „ჯგუფმა“ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების უწყვეტა (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ „ჯგუფმა“ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, „ჯგუფის“ მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს „ჯგუფს“, უმცირესით.

როდესაც უწყვეტი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შექმნილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), „ჯგუფის“ ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, „ჯგუფის“ ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიანი ღირებულებასა და ოფციონის რეალიზაციის ფასს შორის უმცირესით.

#### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მიმდინარე მოგებაში ან ზარალში.

#### დასაკუთრებული უზრუნველყოფა

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც „ჯგუფმა“ დაისაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების თანხის ამოღებისას. ეს აქტივები შექმნილას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება შენობებსა და აღჭურვილობაში, სხვა ფინანსურ აქტივებში ან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში, სხვა აქტივების მუხლში. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და „ჯგუფის“ გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

#### საკრედიტო ვალდებულებები

„ჯგუფი“ გასცემს კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, მათ შორის აკრედიტივებსა და ფინანსურ გარანტიებს. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს გადახდების განხორციელების შეუზღუდავ რწმუნებას იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ მოახერხებს თავისი ვალდებულების დაფარვას მესამე პირებისადმი. ასეთი გარანტიები არის ისეთივე საკრედიტო რისკის მატარებელი, როგორც - სესხები. სესხთან დაკავშირებული ფინანსური გარანტიები და ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, დამოწმებულია მიღებული საკომისიო თანხის ოდენობით. ეს თანხა ამორტიზდება დარიცხვის წრფივი მეთოდით ვალდებულების არსებობის განმავლობაში, იმ სესხების გაცემის ვალდებულებების გარდა, თუ სავარაუდოა, რომ „ჯგუფი“ კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას გააფორმებს და არ დააპირებს ამ სესხის გაყიდვას გაცემის თარიღიდან მოკლე პერიოდში; ასეთი სესხის საკომისიო თანხები გადავადებულია და შეტანილია სესხის საბალანსო ღირებულებაში თავდაპირველი აღიარებისას. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებები ფასდება, (ა) თავდაპირველი აღიარებისას გამოანგარიშებული თანხის დარჩენილ არამორტიზებულ ნაშთსა და (ბ) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დაფარვისთვის საჭირო ხარჯის ყველაზე მიახლოებულ შეფასებას შორის უდიდესით.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და მისი აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი აღიარება ხდება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან იგი დაკავშირებულია ტრანსაქციებთან, რომლებიც აგრეთვე აღიარებულია იმავე ან სხვა პერიოდის სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რომელიც საგადასახადო ორგანოებს უნდა გადაეხადოს ან მათგან დაბრუნებული იქნას დასაბეგრ მოგებასა, თუ ზარალთან მიმართებაში მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის. თუ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება მოხდა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსების წინ, დასაბეგრი მოგება თუ ზარალი ემყარება მიახლოებულ შეფასებებს. გადასახადების აღრიცხვა ხდება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში, გარდა მოგების გადასახადისა

გადავადებული მოგების გადასახადის დარიცხვა ხორციელდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდებზე გადატანის შემთხვევაში და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ დროებით სხვაობებზე. თავდაპირველი აღიარების გამონაკლის შემთხვევებში, გადავადებული გადასახადები არ აღრიცხება ისეთი აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას არსებული დროებითი სხვაობებისთვის, რომლებიც მონაწილეობს არა საწარმოთა გაერთიანების, არამედ სხვა ტიპის გარიგებაში, თუ ეს გარიგება თავდაპირველი აღიარებისას არ ახდენს გავლენას არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ნაშთი ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც ამოქმედებულია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის და რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს იმ პერიოდში, როდესაც დროებითი სხვაბები შებრუნდება ან მომდევნო პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი გამოიყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთაიქვითება მხოლოდ „ჯგუფის“ ცალკეულ კომპანიებში. დროებით გამოქვითვად სხვაობებზე გადავადებული საგადასახადო აქტივები და მომდევნო პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი აისახება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ალბათობა სამომავლო დასაბეგრი მოგებისა, რომლიდანაც შესაძლებელი იქნება გამოქვითვა.

გადავადებული მოგების გადასახადი ირიცხება შეძენის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაზე და შეძენის შემდეგ შვილობილი კომპანიების რეზერვების მოძრაობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ჯგუფი“ აკონტროლებს კომპანიის სადივიდენდო პოლიტიკას და სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში სხვაობა არ შებრუნდება დივიდენდების მეშვეობით ან სხვაგვარად.

#### შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი.

უმნიშვნელო რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ადგენით ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება ადგენით ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას განგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.



(ათასი ლარი)

**3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

**შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები (გაგრძელება)**

გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი, რომლებიც განისაზღვრება მიღებული შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მიწისა და მიმდინარე მშენებლობის ცვეთა არ ხდება შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების სხვა ნაწილების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	<i>სასარგებლო გამოყენების ვადა (წლებში)</i>
შენობა-ნაგებობები	25
საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	5
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5
ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	5
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც „ჯგუფი“ ამჟამად მიიღებდა ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

**საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება ან ზარალი აღირიცხება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს მოგება თუ ზარალი წარმოიშვა, შესაბამისი საგადასახადო ეფექტით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ყოველწლიური შეფასებით, რომელსაც ატარებს აკრედიტებული გარე დამოუკიდებელი შემფასებელი შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მეთოდით.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს ან როდესაც საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოოდ ხდება ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, აღიარების შეწყვეტის პერიოდში.

საინვესტიციო ქონების მუხლიდან გადატანა ან ამ მუხლში გადმოტანა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული ქონების ექსპლუატაციაში გარკვეული ცვლილება აღინიშნება. საინვესტიციო ქონებიდან მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების ანგარიშზე ქონების გადატანის შემთხვევაში შემდგომი აღრიცხვისთვის დასაშვები ღირებულება არის სამართლიანი ღირებულება სარგებლობაში მომხდარი ცვლილების თარიღისთვის. თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება იქცევა საინვესტიციო ქონებად, „ჯგუფი“ ასეთ ქონებას აღრიცხავს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად სარგებლობაში ცვლილების მოხდენის თარიღამდე.

**გუდვილი**

გუდვილი არის ნამეტი შესყიდვის ხარჯსა და შესყიდვის თარიღისთვის შესყიდული შვილობილი ან მეკავშირე საწარმოს ამოცნობად აქტივებში, ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებში შესყიდველი საწარმოს წილის სამართლიან ღირებულებას შორის. შვილობილი კომპანიების შემენისას წარმოქმნილი გუდვილი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე. მეკავშირე საწარმოების შემენის შედეგად წარმოქმნილი გუდვილი აღირიცხება მეკავშირე საწარმოებში განხორციელებულ ინვესტიციებში. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### გუდვილი (გაგრძელება)

„ჯგუფი“ ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს გუდვილი გაუფასურების შესაძლო ნიშნები. გუდვილი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული სინერგიიდან სარგებელს მიიღებენ. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენს უმცირეს დონეს, რომელზეც „ჯგუფი“ ახდენს გუდვილის მონიტორინგს და ისინი უნდა აღებატებოდეს საოპერაციო სემენტის სიდიდეს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შიგნით ისეთი ოპერაციის შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელზეც გუდვილი იყო განაწილებული, შეიცავს შეწყვეტილ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებასაც, და ფასდება შეწყვეტილი ოპერაციისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დარჩენილი ნაწილის ხვედრითი წილების საფუძველზე.

#### სხვა არამატერიალური აქტივები

„ჯგუფის“ არამატერიალურ აქტივებს, გუდვილის გარდა, განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს.

შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია ამ პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით სამწლიანი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში.

საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოშობილი კლიენტებთან ურთიერთობის ღირებულება ამორტიზდება დარიცხვის წრფივი მეთოდით კლიენტთან ურთიერთობის მოსალოდნელ ათწლიან ვადაზე.

#### ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთავარი მახასიათებლებია დაუზუსტებელი დრო და თანხის ოდენობა. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც „ჯგუფს“ წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

#### საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული ზღვრული ხარჯები კაპიტალში ნაჩვენებია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან, გადასახადის გათვალისწინებით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებითი შენატანები კაპიტალში. აქციონერებისგან მიღებული ნაშთები, რომლებიც წარმოადგენს გაუნაღებელ კაპიტალს, თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო დისკონტი აისახება კაპიტალის რეზერვში. დისკონტის გაუქმების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აკუმულირებული ზარალის რეზერვიდან სამართლიანი ღირებულების კორექტირების შესაბამისი რეკლასიფიკაციით.

#### დივიდენდები

დივიდენდების აღიარება კაპიტალში კაპიტალში ხდება იმავე პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ შენიშვნები მოცემულია "ანგარიშგების შემდგომი მოვლენების" ნაწილში.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### შემოსავლის და ხარჯის აღიარება

ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდით ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილი თუ მიღებული ყველა საკომისიო, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს, გადავადდება საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის სახით.

საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავს გაცემის საკომისიოს, რომლებიც მიღებულია, ან გადახდილია იმ საწარმოს მიერ, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასა თუ შესყიდვასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, მაგალითად, გასამრჯელოები კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის, გარანტიების, თუ უზრუნველყოფის დარეგისტრირება და შეფასება, ინსტრუმენტის ვადებზე მოლაპარაკება და ტრანსაქციის დოკუმენტაციის დამუშავება. „ჯგუფის“ მიერ მიღებული თანხები სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთში გასაცემად, არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილი, იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ გააფორმებს კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას და არ დააპირებს ამ სესხის გაყიდვას გაცემის თარიღიდან მოკლე პერიოდში. „ჯგუფი“ არ აღრიცხავს სასესხო ვალდებულებებს, როგორც მოგებასა და ზარალში ასახულ და სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

როდესაც სესხებისა და სხვა სავალო ინსტრუმენტების ამოღება სათუო ხდება, ისინი ჩამოიწერება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი შემდეგ აღირიცხება დღევანდელი ღირებულების დისკონტის გაუქმებისთვის აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე, რომლის გამოყენებითაც მოხდა გაუფასურების ზარალის შეფასება.

ყველა დანარჩენი საკომისიო და სხვა შემოსავლის და ხარჯის მუხლი ჩვეულებრივ აღირიცხება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ტრანსაქციის დასრულების მითითებით, რომელიც ფასდება რეალურად გაწეული მომსახურების საფუძველზე, გასაწევი მთლიანი მომსახურების პროპორციულად.

საკომისიო და გასამრჯელო, რომელიც მიიღება მოლაპარაკების ან მესამე მხარისთვის გარიგების პირობებზე მოლაპარაკებაში მონაწილეობის შედეგად, როგორცაა სესხების, აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა ან საწარმოს ყიდვა-გაყიდვა და რომლებიც მიიღება შესაბამისი გარიგების განხორციელებისთანავე, აღრიცხება მათი დასრულებისთანავე. ხელმძღვანელობისთვის ფასიანი ქაღალდების მართვის და სხვა საკონსულტაციო და მომსახურების საკომისიოს აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე, ხელშეკრულებების ვადის პროპორციულად.

#### უცხოური ვალუტის კონვერტაცია

„ჯგუფის“ თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს სამუშაო ვალუტა იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ეს საწარმო საქმიანობს. „ჯგუფის“ და მისი შვილობილი კომპანიების სამუშაო ვალუტა და „ჯგუფის“ წარსადგენი ვალუტა არის ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი გარიგებების ანგარიშსწორებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში გადაყვანის შედეგად სებ-ის წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აისახება მოგებაში ან ზარალში. წლის ბოლოსთვის არსებული კურსით გადაყვანა არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კაპიტალის ინვესტიციების ჩათვლით, გადაიყვანება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი არაფულად მუხლებზე, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აისახება სამართლიანი ღირებულების შემოსულობაში ან ზარალში.

“სებ“-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად იყო 1.6567 ლარი (მთლიანი თანხა) და 1.6703 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### სამომავლო ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

*გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული*

*ფასს (IFRS) 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"*

ფასს 9 გამოცემული სახით ასახავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გაწეულ მუშაობას ბასს 39-ის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით და შეეხება ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებას ბასს 39-ის მიხედვით. სტანდარტები თავდაპირველად 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე ვრცელდებოდა, მაგრამ 2011 წლის დეკემბერში ფასს 9-ში შესული ცვლილებებით "ფასს 9-ს ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღი და გარდამავალი განმარტებითი შენიშვნები", ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღმა 2015 წლის 1 იანვრამდე გადაიწია. შემდეგ ეტაპებზე ბასსს მიმართავს პეჯირების აღრიცხვას და ფინანსური აქტივების გაუფასურებას.

*ფასს (IFRS) 9 "ფინანსური ინსტრუმენტები" (გაგრძელება)*

„ჯგუფი“ გაზომავს ფასს 9-ის პირველი ეტაპის მიღების შედეგებს სხვა ეტაპებთან ერთად, მათი გამოშვებისთანავე, სრულყოფილი სურათის წარმოდგენის მიზნით.

*ფასს (IFRS) 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“*

ფასს 10-ის მიხედვით კონტროლის სისტემის ერთი მოდელი ვრცელდება ყველა ეკონომიკურ სუბიექტზე, მათ შორის სპეციალური დანიშნულების ეკონომიკურ სუბიექტებზეც. ბასს 27-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, ფასს 10-ში ცვლილებების შედეგად ხელმძღვანელობას მოუწევს დიდწილად თავად განსაზღვროს, რომელი კომპანიები ექვემდებარება კონტროლს და შესაბამისად, რომელი კომპანიების კონსოლიდირება უნდა მოახდინოს მშობელმა კომპანიამ. ამასთან, ფასს 10 წარმოადგენს სახელმძღვანელოს სააგენტო ურთიერთობებისთვის. ფასს 10 ნაწილობრივ ჩანაცვლებს ბასს 27-ს „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“, რომელიც ეხება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აღრიცხვას და ასევე მოიცავს იმკ (SIC) 12-ში „კონსოლიდაცია - სპეციალური დანიშნულების ეკონომიკური სუბიექტები“ წამოყენებულ საკითხებს. იგი ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც. ამ ეტაპზე „ჯგუფი“ აფასებს ფასს 10-ის მიღების შესაძლო შედეგებს თავის ფინანსურ მდგომარეობას და შედეგებზე.

*ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი გარიგებები“*

ფასს 11-ით გაუქმებულია ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების პროპორციული კონსოლიდაციის მეთოდით აღრიცხვა. ამის ნაცვლად ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები, რომლებიც ერთობლივი საწარმოს განმარტებას აკმაყოფილებს, უნდა აღრიცხოს კაპიტალ-მეთოდით. ფასს 11 ცვლის ბასს 31-ს – „ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა“ და იმკ 13-ს „ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულები – კონტროლის უფლების მქონე ინვესტორების არაფულადი შენატანები“ და ძალაშია 2013 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც. „ჯგუფს“ მიაჩნია, რომ ფასს 11-ის მიღება გავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

*ფასს (IFRS) 12 "სხვა საწარმოში მონაწილეობის განმარტებითი შენიშვნები"*

ფასს 12 ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ფასს 12 მოიცავს ყველა განმარტებით შენიშვნას, რომლებიც მანამდე ბასს 27-ში შედიოდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით და ასევე ყველა განმარტებით შენიშვნას, რომლებიც მანამდე ბასს 31-სა და ბასს 28-ში შედიოდა. ეს განმარტებითი შენიშვნები უკავშირდება საწარმოს მონაწილეობას შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებში, მეკავშირე საწარმოებსა და სტრუქტურულ ერთეულებში. ასევე სავალდებულო გახდა მთელი რიგი ახალი განმარტებითი შენიშვნებიც. კერძოდ, „ჯგუფს“ მოუხდებდა მეტი ინფორმაციის წარმოდგენა კონსოლიდირებული და არაკონსოლიდირებული სტრუქტურული ერთეულების შესახებ, რომლებთანაც ის ჩართულია გარკვეულ საქმიანობაში ან რომელთაც ასპონსორებს. ამასთან, სტანდარტი გავლენას არ მოახდენს „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### სამომავლო ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 13 „სამართლიანი ღირებულებით შეფასება“

ფასს 13 სამართლიანი ღირებულებით ყველა იმ შეფასებისთვის, რომლებიც ფასს-ის შესაბამისად ტარდება, ერთიან მეთოდს განსაზღვრავს. ფასს 13 არ ცვლის სამართლიანი ღირებულებით შეფასების აუცილებლობის დადგომის წესს, იგი მხოლოდ ფასს-ის შესაბამისად სამართლიანი ღირებულებით შეფასების მეთოდის განსაზღვრავს, როდესაც სამართლიანი ღირებულება აუცილებელი ან ნებადართულია. ფასს 13 ძალაშია 2013 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც. ფასს 13-ის მიღებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს „ჯგუფის“ სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე. ამ ეტაპზე „ჯგუფი“ აფასებს ფასს 13-ის მიღების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ მდგომარეობას და შედეგებზე.

ბასს (IAS) 27 „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ (2011 წლის რედაქციით)

ახალი ფასს 10-ისა და ფასს 12-ის მიღების შედეგად, ბასს 27-ს რჩება მხოლოდ შვილობილი, ერთობლივად კონტროლირებადი და მეკავშირე კომპანიების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ცვლილება ძალაშია 2013 წლის 1 იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. ამასთან, სტანდარტი გავლენას არ მოახდენს „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

ბასს (IAS) 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ (2011 წლის რედაქციით)

ახალი ფასს 11-ისა და ფასს 12-ის მიღების შედეგად ბასს 28-ს დაერქვა ბასს 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ და აღწერს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებას მეკავშირე კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების დროს. ცვლილება ძალაშია 2013 წლის 1 იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. ამასთან, სტანდარტი გავლენას არ მოახდენს „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“

ბასსს-მა გამოაქვეყნა ბასს 19-ში „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“ შესული მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების აღრიცხვაში შესული ძირითადი ცვლილებები მოიცავს საპენსიო აქტივებისა და ვალდებულებებში შესული ცვლილებების გადავადებული აღიარების შესაძლებლობის (ე.წ. „დერეფნის პრინციპი“) გაუქმებას. ამასთანავე, შეიზღუდება ცვლილებები წმინდა საპენსიო აქტივში (ვალდებულებაში), რომელიც ნაღირება მოგებაში ან ზარალში წმინდა საპროცენტო შემოსავლის (ხარჯის) და მომსახურების დანახარჯების ნაწილში. „ჯგუფის“ მოლოდინით ეს ცვლილებები არ მოახდენს გავლენას „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე.

ცვლილებები ბასს 1-ში „ცვლილებები სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენაში“

ბასს 1-ში შესული ცვლილებები სხვაგვარად აჯგუფებს სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილ მუხლებს. მუხლები, რომელთა მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიკაცია (გადაჯგუფება) შესაძლებელია მომავალში (მაგალითად, გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებზე წმინდა ზარალი ან შემოსულობა), წარმოდგენილი იქნება განცალკევებით იმ მუხლებისგან, რომელთა რეკლასიფიკაცია არასდროს მოხდება (მაგალითად, შენობების გადაფასება). ეს ცვლილებები გავლენას ახდენს მხოლოდ ანგარიშგების წარმოდგენაზე და არ აისახება „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე. ცვლილება ძალაშია 2012 წლის 1 ივლისს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ფასს (IFRS) 7 „ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა“

ამ ცვლილებების მიხედვით საწარმოს ევალება ინფორმაციის წარმოდგენა ურთიერთგაქვითვისა და მასთან დაკავშირებული შეთანხმებების შესახებ (მაგ. უზრუნველყოფის ხელშეკრულებები). მსგავსი ინფორმაცია ანგარიშგების მომხმარებლებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ჩათვლის ამ სქემების გავლენის შეფასებაში დაეხმარება. ამ ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულოა ყველა აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, რომელთა ურთიერთგაქვითვაც ხორციელდება ბასს (IAS) 32-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“ შესაბამისად. მოთხოვნა ვრცელდება იმ აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზეც, რომლებიც ძირითად საკლირინგო შეთანხმებას ან მსგავს ხელშეკრულებებს ექვემდებარება, განურჩევლად იმისა, გაქვითულია თუ არა ისინი ბასს 32-ის შესაბამისად. ეს ცვლილებები არ მოახდენს გავლენას „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე და ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### სამომავლო ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

*ცვლილებები ბასს (IAS) 32-ში "ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა"*

ეს ცვლილებები განმარტავს იმას, თუ რას ნიშნავს "ამჟამად აქვს გაქვითვის იურიდიული უფლება". „ჯგუფზე“ მისი გავლენის შესაფასებლად საჭირო იქნება ანგარიშსწორების პროცედურებისა და იურიდიული დოკუმენტაციის გადახედვა იმის დასაზუსტებლად, რომ ურთიერთგაქვითვა ჯერაც შესაძლებელია იმ შემთხვევებისთვის, რომელთა მიმართაც ის წარსულშიც განხორციელებულა. გარკვეულ შემთხვევებში ურთიერთგაქვითვა შეიძლება შეუძლებელიც იყოს. სხვა შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს ხელშეკრულებების პირობების გადახედვა. პირობა, რომ გაქვითვის უფლება აქვს ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულების ყველა მხარეს, შეიძლება რთული შესასრულებელი გახდეს ისეთი ხელშეკრულებებისთვის, რომელთა მიხედვითაც მხოლოდ ერთ მხარეს აქვს გაქვითვის უფლება დეფოლტის შემთხვევაში.

ცვლილებები ასევე განმარტავს ბასს 32-ის ურთიერთგაქვითვის კრიტერიუმების გამოყენების წესს ანგარიშსწორების ისეთ სისტემებში (მაგ. ცენტრალური საკლირინგო დაწესებულების მქონე სისტემები), რომელიც მიმართავს ანგარიშსწორების არათანადროულ მექანიზმებს. მაშინ, როდესაც ბევრი ანგარიშსწორების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ახალ კრიტერიუმებს, გარკვეული სისტემები არ მოდის ასეთ შესაბამისობაში. რამდენადაც ცვლილების მიღების გავლენა დამოკიდებულია „ჯგუფის“ მიერ საოპერაციო პროცედურების შესწავლაზე, რომელთაც იყენებს ცენტრალური საკლირინგო დაწესებულების მქონე და ანგარიშსწორების სისტემები, იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად შეესაბამებიან ახალ კრიტერიუმებს, ასეთი ეფექტების დაანგარიშება არ არის პრაქტიკული.

ეს ცვლილებები ძალაშია 2014 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

*დამატება ფასს (IFRS) 1-ში – "სახელმწიფო სესხები"*

ამ ცვლილებების მიხედვით, საწარმოებმა, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს-ს, პერსპექტულად უნდა შეასრულონ ბასს (IAS) 20-ის "სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები" მოთხოვნები იმ სახელმწიფო სესხებზე, რომლებიც ფასს-ზე გადასვლის თარიღით არსებობს. ეს ცვლილება „ჯგუფზე“ გავლენას არ ახდენს.

*ფასს-ის გაუმჯობესება*

ცვლილებები ძალაშია 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ისინი გავლენას არ მოახდენს „ჯგუფზე“.

- ფასს (IFRS) 1 "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება": ამ გაუმჯობესების მიხედვით, საწარმოს, რომელმაც შეწყვიტა ფასს-ის გამოყენება წარსულში და ისევ გადაწყვიტა, ან მოეთხოვება ფასს-ის გამოყენება, შეუძლია ხელახლა გამოიყენოს ფასს 1. თუ არ ხდება ფასს 1-ის ხელახლა გამოყენება, საწარმომ რეტროსპექტულად ხელახლა უნდა გადაიანგარიშოს თავისი ფინანსური ანგარიშები ისე, თითქოს არასოდეს შეუწყვიტა ფასს-ის გამოყენება.
- ბასს (IAS) 1 "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა": ეს გაუმჯობესება განმარტავს განსხვავებას ნებაყოფლობით დამატებით შესადარის ინფორმაციასა და მინიმალურ სავალდებულო შესადარის ინფორმაციას შორის. როგორც წესი, მინიმალური სავალდებულო შესადარის ინფორმაცია ეხება წინა პერიოდს.
- ბასს (IAS) 16 "ძირითადი საშუალებები": ეს გაუმჯობესება განმარტავს, რომ ისეთი მსხვილი სათადარიგო ნაწილები და დამხმარე აღჭურვილობა, რომლებიც ძირითადი საშუალებების განმარტებას შეესაბამება, არ წარმოადგენს სასაქონლო მატერიალურ მარაგებს.
- ბასს (IAS) 32 "ფინანსური ინსტრუმენტები, წარდგენა": ეს გაუმჯობესება განმარტავს, რომ მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა აქციების მფლობელებისთვის მოგების განაწილების შედეგად, აღრიცხება ბასს (IAS) 12-ის "მოგებიდან გადასახადები" მიხედვით.
- ბასს (IAS) 34 "შუალედური ფინანსური ანგარიშგება": ეს ცვლილება მთლიანი სეგმენტის აქტივებისა და მთლიანი სეგმენტის ვალდებულებების შესახებ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს ერთმანეთს შეუსაბამებს შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს განმარტება ასევე უზრუნველყოფს შუალედური განმარტებითი შენიშვნების შესაბამისობას წლიურ განმარტებით შენიშვნებთან.

(ათასი ლარი)

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

„ჯგუფი“ მიმართავს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

##### *სესხების გაუფასურების რეზერვი*

„ჯგუფის“ მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. „ჯგუფი“ იყენებს საკუთარ შეფასებებს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის განსაზღვრის მიზნით იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ასევე „ჯგუფი“ აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას იმ მოპოვებად მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს გაუარესებისკენ ცვლილება „ჯგუფში“ მსესხებლების გადახდის სტატუსისა ან ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა, რაც განაპირობებს „ჯგუფში“ აქტივებზე ვალდებულებების შეუსრულებლობას. საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობილ შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. მიმდინარე მოვლენების ასახვის მიზნით „ჯგუფი“ ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს სესხებისა თუ მისაღები ანგარიშების სათანადო მონაცემების კორექტირებისათვის.

##### *გადავადებული საგადასახადო აქტივები*

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება საგადასახადო ზარალთან მიმართებაში ხდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოდ იარსებებს სამომავლო დასაბეგრი მოგება, რომლიდანაც შესაძლებელი იქნება ზარალის გამოყენება. იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება უნდა მოხდეს, საჭიროა შეფასება მომავალი დასაბეგრი მოგებისა, ვადიანობისა და დონის მიხედვით, მომავალ საგადასახადო დაგეგმარების სტრატეგიებთან ერთად.

##### *უზრუნველყოფის ღირებულების განსაზღვრა*

ხელმძღვანელობა რეგულარულად ამოწმებს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა სამართლიან ღირებულებას არსებული საბაზრო პირობების მიხედვით აკორექტირებს, რისთვისაც იგი გამოცდილების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ან დამოუკიდებელი ექსპერტის აზრს ეყრდნობა. საჭიროა უზრუნველყოფის ოდენობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე.

##### *გუდვილი*

„ჯგუფი“ მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას. ამისთვის საჭიროა იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულების დადგენა, რომელზეც გუდვილია განაწილებული. გამოყენების ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მოსაძლოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების გაანგარიშებას და ასევე შესაფერისი დისკონტური განაკვეთის შერჩევას ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულების გამოთვლის მიზნით.

##### *ფუნქციონირებადი საწარმო*

იმის მიუხედავად, რომ 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფს“ ჰქონდა 14,171 ათასი ლარის აკუმულირებული ზარალი და უარყოფითი ლიკვიდურობის გეპი წლის განმავლობაში (26-ე შენიშვნა), ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე მოამზადა. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა „ჯგუფის“ ფინანსური მდგომარეობა, მიზნები, ოპერაციების მოგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

(ათასი ლარი)

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულია ქმედებები, რომლებსაც „ჯგუფი“ მიმართავს, რათა გააგრძელოს ჩვეულებრივი ფუნქციონირება, რაც გულისხმობს საკმარის წვდომას რესურსებისადმი, იმისათვის რომ შეძლოს ვალდებულებების გასტუმრება შესაბამის ვადებში:

- „ბანკს“ აქვს წვდომა აგრეგირებულ 40,000 ათასი ლარის (24 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი) საკრედიტო ლიმიტზე საქართველოს წამყვან ადგილობრივ ბანკებში. ეს თანხა არ მოიცავს სვოპებს და სხვა შესაბამის ინსტრუმენტებს. 2013 წლის დასაწყისიდან ბანკთაშორისი სესხების მოცულობდა მერყეობდა 1-დან 4 მილიონ ლარამდე, საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი კი ვარირებდა 3.5%-სა და 4.5%-ს შორის. ადგილობრივი კომერციული ბანკების საკმაოდ მაღალი ლიკვიდურობის გამო, ბანკთაშორისი გარიგებები არ არის ძვირი და მათი მიღება შესაძლებელია 3.5%-დან 5%-მდე წლიური საპროცენტო განაკვეთით ერთი დღიდან 6 თვემდე პერიოდით. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად „ბანკი“ არ იყენებს აღნიშნულ საკრედიტო ლიმიტს. ხელმძღვანელობის აზრით ეს საკრედიტო ლიმიტები საკმარისი იქნება ლიკვიდურობის გეპის დასაფარად 12 თვემდე პერიოდში.
- ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კლიენტებთან ურთიერთობის წარსული გამოცდილების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ კლიენტთა სახსრების უდიდესი ნაწილი განთავსებულია მოთხოვნამდე მიმდინარე ანგარიშებზე, ეს თანხები დაფინანსების გრძელვადიანი და სტაბილური წყაროა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი დაწვრილებით მოცემულია 25-ე შენიშვნაში.
- 2012 წლის განმავლობაში „ბანკმა“ კიდევ უფრო გაზარდა სასესხო პორტფელი და კლიენტთა ანგარიშები. რაც წარმოადგენს 2010 წლიდან „ჯგუფის“ საქმიანობის გაუმჯობესების ტენდენციის გაგრძელებას. სასესხო პორტფელისა და კლიენტთა ანგარიშების სტაბილურმა ზრდამ 2012 წელს განაპირობა წმინდა საპროცენტო შემოსავლის გაზრდა. ამის შედეგად „ბანკმა“ გააორმაგა თავისი დასაბეგრი მოგება 2011 წელთან შედარებით. ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მზარდი დადებითი ტენდენცია ახლო მომავალშიც გაგრძელდება.

**5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	<b>2012</b>	<b>2011</b>
სალაროში ნაღდი ფულის ნაშთი	23,684	13,021
ფულადი ნაშთები სებ-ში (მინიმალური სავალდებულო რეზერვის გარდა)	10,428	12,036
საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები სხვა ბანკებში	15,556	3,383
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებებში	15,116	13,506
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>64,784</b>	<b>41,946</b>

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 14,289 ლარი (2011 წ.: 2,820 ლარი) იყო განთავსებული მიმდინარე და ვადიან დეპოზიტებზე ეთგოს საერთაშორისო დონეზე აღირებულ ბანკებში, რომლებიც მონაწილე მხარეებად გამოდიან „ჯგუფის“ მიერ განხორციელებულ საერთაშორისო გადახდებში.

**6. კლიენტებზე გაცემული სესხები**

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	<b>2012</b>	<b>2011</b>
სალომბარდო სესხები	94,739	70,818
კორპორატიული სესხები	57,242	74,220
სამომხმარებლო სესხები	32,953	26,581
იპოთეკური სესხები	18,612	14,950
მეწარმე ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	13,064	10,885
<b>კლიენტებზე გაცემული ჯამური სესხი</b>	<b>216,610</b>	<b>197,454</b>
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(12,603)	(10,581)
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>204,007</b>	<b>186,873</b>



(ათასი ლარი)

## 6. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

### კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

	კორპორატი- ული სესხები 2012	სამომხმარებ- ლო სესხები 2012	ინდ.მეწარმეებ- ზე გაცემული სესხები 2012	იპოთეკური სესხები 2012	სალომზარდო სესხები 2012	სულ 2012
<b>2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>6,688</b>	<b>2,784</b>	<b>741</b>	<b>368</b>	–	<b>10,581</b>
დარიცხვა წლის განმავლობაში	884	1,948	490	496	–	3,818
ამოღება	356	33	4	–	–	393
ჩამოწერილი თანხები	(2,116)	(48)	(25)	–	–	(2,189)
<b>2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>5,812</b>	<b>4,717</b>	<b>1,210</b>	<b>864</b>	–	<b>12,603</b>
ინდივიდუალური გაუფასურება	4,774	4,293	940	498	–	10,505
კოლექტიური გაუფასურება	1,038	424	270	366	–	2,098
	<b>5,812</b>	<b>4,717</b>	<b>1,210</b>	<b>864</b>	–	<b>12,603</b>
<b>გაუფასურებულად ინდივიდუალურად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე</b>	<b>9,492</b>	<b>5,101</b>	<b>1,704</b>	<b>2,585</b>	–	<b>18,882</b>

	კორპორატი- ული სესხები 2011	სამომხმარებ- ლო სესხები 2011	ინდ.მეწარმეებ- ზე გაცემული სესხები 2011	იპოთეკური სესხები 2011	სალომზარდო სესხები 2011	სულ 2011
<b>2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>5,174</b>	<b>2,589</b>	<b>503</b>	<b>1,087</b>	–	<b>9,353</b>
წლის (აღდგენა) დანარიცხი	1,668	484	217	(524)	–	1,845
ამოღება	–	49	32	–	–	81
ჩამოწერილი თანხები	(149)	(338)	(11)	(176)	–	(674)
გაუფასურებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	(5)	–	–	(19)	–	(24)
<b>2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>6,688</b>	<b>2,784</b>	<b>741</b>	<b>368</b>	–	<b>10,581</b>
ინდივიდუალური გაუფასურება	5,209	2,540	515	182	–	8,446
კოლექტიური გაუფასურება	1,479	244	226	186	–	2,135
	<b>6,688</b>	<b>2,784</b>	<b>741</b>	<b>368</b>	–	<b>10,581</b>
<b>გაუფასურებულად ინდივიდუალურად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე</b>	<b>8,908</b>	<b>2,811</b>	<b>1,734</b>	<b>872</b>	–	<b>14,325</b>

იმ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, რომელთათვისაც აღიარებულია ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვი 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, 1,699 ლარს შეადგენდა (2011 წ.: 1,069 ლარი).

(ათასი ლარი)

## 6. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

### სესხის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- კომერციული სესხებისთვის – უძრავი ქონება, სასაქონლო მატერიალური მარაგები, სავაჭრო დებიტორული დავალიანება;
- ფიზიკური პირების სესხებისთვის – საცხოვრებელი ფართის იპოთეკა.

„ჯგუფი“ ასევე იღებს გარანტიებს მშობელი კომპანიებისგან მათი შვილობილ კომპანიებისთვის გაცემული სესხებისთვის.

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას სესხის ხელშეკრულების თანახმად და თავლყურს ადევნებს სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

### კლიენტებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფის“ სესხების კონცენტრაცია წარმოადგენდა ათი უმსხვილესი მესამე მხარე მსესხებლისთვის გაცემულ 52,137 ლარს (მთლიანი სასესხო პორტფელის 24.07%) (2011 წ.: 45,773 ლარი ანუ 23.18%). აღნიშნული სესხებისათვის შეიქმნა რეზერვი 274 ლარის (2011 წ.: 2,494 ლარი) ოდენობით.

სესხები გაიცა შემდეგი ტიპის კლიენტებზე:

	<b>2012</b>	<b>2011</b>
კერძო საწარმოები	147,693	137,785
სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	5,278	8,223
ფიზიკური პირები	63,639	51,446
	<b>216,610</b>	<b>197,454</b>

სესხები საქართველოს ფარგლებში, ძირითადად შემდეგ დარგებზეა გაცემული:

	<b>2012</b>		<b>2011</b>	
	<i>თანხა</i>	<i>%</i>	<i>თანხა</i>	<i>%</i>
სალომზარდო სესხები	94,739	43.74	70,818	35.85
ვაჭრობისა და მომსახურების სექტორი	36,005	16.62	46,684	23.64
ფიზიკური პირები	63,639	29.38	51,446	26.05
მშენებლობის სექტორი	5,225	2.41	15,879	8.04
სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტების გადამუშავება	2,792	1.29	1,683	0.85
ენერგოსექტორი	3,429	1.58	3,400	1.72
სატრანსპორტო და კომუნიკაციების სექტორი	6,555	3.03	5,449	2.76
სხვა სექტორი	4,226	1.95	2,095	1.09
	<b>216,610</b>	<b>100.00</b>	<b>197,454</b>	<b>100.00</b>

(ათასი ლარი)

## 7. დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს:

	2012	2011
საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები	8,313	-
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	3,053	4,694
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	6,651	4,130
<b>დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები</b>	<b>18,017</b>	<b>8,824</b>

ამ ფასიანი ქაღალდების სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთები და ვადები ასეთია:

	31 დეკემბერი, 2012 წ.		31 დეკემბერი, 2011 წ.	
	%	დაფარვის თარიღი	%	დაფარვის თარიღი
საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები	6.09%	2013	-	-
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	6.28%	2013	9.42%	2012
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	9.98%	2013, 2014	11.87%	2013

## 8. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების დინამიკა ასეთი იყო:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	ავტოსატრანს- პორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	საიჯარო ქონების გაუმჯობეს- ება	სულ
<b>თვითღირებულება</b>							
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>32</b>	<b>13,512</b>	<b>2,752</b>	<b>663</b>	<b>4,907</b>	<b>4,571</b>	<b>26,437</b>
შემოსვლები	-	-	124	327	541	25	1,017
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	-	(279)	(39)	(850)	(1,168)
გადაცემა	-	-	-	-	(121)	121	-
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებაში	-	(5,014)	-	-	-	-	(5,014)
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>32</b>	<b>8,498</b>	<b>2,876</b>	<b>711</b>	<b>5,288</b>	<b>3,867</b>	<b>21,272</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>							
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>-</b>	<b>1,452</b>	<b>2,102</b>	<b>424</b>	<b>3,454</b>	<b>2,837</b>	<b>10,269</b>
ცვეთის დანარიცხი	-	557	360	128	612	602	2,259
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	-	(177)	(23)	(744)	(944)
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებაში	-	(828)	-	-	-	-	(828)
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>-</b>	<b>1,181</b>	<b>2,462</b>	<b>375</b>	<b>4,043</b>	<b>2,695</b>	<b>10,756</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>							
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>32</b>	<b>12,060</b>	<b>650</b>	<b>239</b>	<b>1,453</b>	<b>1,734</b>	<b>16,168</b>
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>32</b>	<b>7,317</b>	<b>414</b>	<b>336</b>	<b>1,245</b>	<b>1,172</b>	<b>10,516</b>

(ათასი ლარი)

**8. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები (გაგრძელება)**

	მიწა	შენობა- ნაგებობები	საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	ავტოსატრანს- პორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სულ
<b>თვითღირებულება</b>							
<b>31 დეკემბერი, 2010 წ.</b>	-	<b>11,652</b>	<b>2,637</b>	<b>902</b>	<b>5,191</b>	<b>5,135</b>	<b>25,517</b>
შემოსვლები	32	418	115	77	1,175	43	1,860
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	-	(316)	(11)	(613)	(940)
გადაცემა	-	1,442	-	-	(1,448)	6	-
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>32</b>	<b>13,512</b>	<b>2,752</b>	<b>663</b>	<b>4,907</b>	<b>4,571</b>	<b>26,437</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>							
<b>31 დეკემბერი, 2010 წ.</b>	-	<b>954</b>	<b>1,556</b>	<b>529</b>	<b>2,382</b>	<b>2,531</b>	<b>7,952</b>
ცვეთის დანარიცხი	-	498	546	168	1,077	605	2,894
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	-	(273)	(5)	(299)	(577)
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	-	<b>1,452</b>	<b>2,102</b>	<b>424</b>	<b>3,454</b>	<b>2,837</b>	<b>10,269</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>							
<b>31 დეკემბერი, 2010 წ.</b>	-	<b>10,698</b>	<b>1,081</b>	<b>373</b>	<b>2,809</b>	<b>2,604</b>	<b>17,565</b>
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>32</b>	<b>12,060</b>	<b>650</b>	<b>239</b>	<b>1,453</b>	<b>1,734</b>	<b>16,168</b>

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი, მაგრამ მაინც ექსპლუატაციაში მყოფი შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის მთლიანი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 6,519 ლარს (2011 წ.: 1,873 ლარს).

**9. გუდვილი**

*გუდვილის გაუფასურების შემოწმება*

„ბანკი“ ამჟამად წარმოადგენს სს „სტანდარტ ბანკის“ ბიზნესის გაგრძელებას და შესაბამისად „ბანკის“ ხელმძღვანელობის მიერ განიხილება, როგორც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთი ერთეული. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულება 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 20,374 ლარს.

ხელმძღვანელობის აზრით, „ბანკის“ შესყიდვაზე გაწეული ინვესტიცია შეესაბამება აქციონერთა გრძელვადიანი გაფართოების სტრატეგიას რეგიონში და სს „სტანდარტ ბანკის“ შესაძენად გადახდილი დამატებითი თანხა მომავალში, ხუთწლიანი პერიოდის შემდეგ, ეკონომიკური სარგებლის მომტანია. შესაბამისად, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების გამოთვლის საფუძველზე. გამოთვლაში გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზი, რომელიც ემყარება ხელმძღვანელობის მიერ ათწლიანი პერიოდისთვის დამტკიცებულ ფინანსურ ბიუჯეტს. „ბანკის“ გრძელვადიანი სტრატეგიის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული ფულადი სახსრების გენერირებას მოახდენს ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ხუთწლიანი პერიოდის შემდგომი ფულადი ნაკადები მიღებულია ექსტრაპოლაციის გზით, შემოსავლების 5%-იანი სავარაუდო ზრდის ტემპის გამოყენებით.

*გუდვილის გაუფასურების შემოწმება (გაგრძელება)*

ზრდის ტემპი არ აჭარბებს ეკონომიკის იმ ბიზნესსექტორის გრძელვადიან საშუალო ზრდის ტემპს, რომელშიც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული ეწევა საქმიანობას.

(ათასი ლარი)

## 9. გუდვილი (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულების გამოსათვლელად გამოყენებული დაშვებები, რომელთა მიმართაც აღდგენითი ღირებულება ყველაზე მგრძობიარეა:

	<u>2012</u>	<u>2011</u>
ზრდის ტემპი ხუთი წლის განმავლობაში	წლიური 5%	წლიური 15%
ზრდის ტემპი 5 წლის შემდეგ	წლიური 5%	წლიური 5%
დისკონტირების განაკვეთი დაბეგვრამდე	წლიური .8%	წლიური .8%

ხელმძღვანელობამ ბიუჯეტირებული საოპერაციო შედეგები განსაზღვრა წარსულში განხორციელებულ საქმიანობასა და ბაზრის სამომავლო ანალიზის საფუძველზე. ზრდის საშუალო შეწონილი განაკვეთი შეესაბამება დარგის ანგარიშში მოცემულ პროგნოზებს.

დისკონტირების განაკვეთები წარმოადგენს გადასახადების გადახდამდე საპროცენტო განაკვეთს და ასახავს ფულადი სახსრების წარმოქმნელ ერთეულთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებს.

## 10. სხვა არამატერიალური აქტივები

სხვა არამატერიალური აქტივების დინამიკა ასეთი იყო:

	<i>კლიენტებთან ურთიერთობა</i>	<i>კომპიუტერული პროგრამები ლიცენზიები</i>	<i>სულ</i>
<b>თვითღირებულება</b>			
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<u>13,657</u>	<u>1,406</u>	<u>15,063</u>
შემოსვლები	-	167	167
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<u>13,657</u>	<u>1,573</u>	<u>15,230</u>
<b>აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურება</b>			
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<u>5,220</u>	<u>921</u>	<u>6,141</u>
ამორტიზაციის დანარიცხი	1,369	436	1,805
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<u>6,589</u>	<u>1,357</u>	<u>7,946</u>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>			
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<u>8,437</u>	<u>485</u>	<u>8,922</u>
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<u>7,068</u>	<u>216</u>	<u>7,284</u>

	<i>კლიენტებთან ურთიერთობა</i>	<i>კომპიუტერული პროგრამები ლიცენზიები</i>	<i>სულ</i>
<b>თვითღირებულება</b>			
<b>31 დეკემბერი, 2010 წ.</b>	<u>13,657</u>	<u>1,375</u>	<u>15,032</u>
შემოსვლები	-	31	31
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<u>13,657</u>	<u>1,406</u>	<u>15,063</u>
<b>აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურება</b>			
<b>31 დეკემბერი, 2010 წ.</b>	<u>3,854</u>	<u>501</u>	<u>4,355</u>
ამორტიზაციის დანარიცხი	1,366	420	1,786
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<u>5,220</u>	<u>921</u>	<u>6,141</u>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>			
<b>31 დეკემბერი, 2010 წ.</b>	<u>9,803</u>	<u>874</u>	<u>10,677</u>
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<u>8,437</u>	<u>485</u>	<u>8,922</u>

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზებული, მაგრამ ჯერაც ექსპლუატაციასი მყოფი არამატერიალური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება იყო 935 ლარი (2011 წ.: 136 ლარი).

(ათასი ლარი)

## 11. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების დინამიკა ასეთი იყო:

	<u>2012</u>
<b>საწყისი ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით</b>	-
შენიშნული-ნაგებობებისა და მოწყობილობებიდან რეკლასიფიკაცია, წმინდა საბალანსო ღირებულება	4,186
ნეტო ზარალი სამართლიანი ღირებულების კორექტირებიდან	(1,051)
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b><u>3,135</u></b>

„ჯგუფს“ არ აქვს შეზღუდვები თავისი საინვესტიციო ქონების რეალიზაციაზე და არც სახელშეკრულებო ვალდებულება აქვს აღებული, რომ იყიდოს, ააშენოს ან გააუმჯობესოს საინვესტიციო ქონება, ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები ან უზრუნველყოს ტექნიკური მომსახურება.

საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრა აკრედიტებული დამოუკიდებელი შემფასებლის - "საქართველოს უძრავი ქონებისა და ინვესტიციების მართვის კომპანიის" მიერ ჩატარებული შეფასების საფუძველზე 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ღირებულება მიღებული იქნა ანალოგიური ტიპის ობიექტებზე გარიგების საბაზრო ფასების მიხედვით.

## 12. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება შემდეგისგან:

	<u>2012</u>	<u>2011</u>
<b>მიმდინარე გადასახადის დანარიცხი</b>	-	-
გადავადებული საგადასახადო სარგებელი – დროებითი სხვაობების წარმოშობა და შებრუნება	56	741
<b>მოგების გადასახადის სარგებელი</b>	<b><u>56</u></b>	<b><u>741</u></b>

საგადასახადო განაკვეთი, რომლითაც იბეგრება „ჯგუფის“ 2012 წლის შემოსავლის უდიდესი ნაწილი, 15%-ს შეადგენს (2011 წ.: 15%).

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ შეჯერებულია მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით და მოგების გასახადის რეალური ხარჯი.

	<u>2012</u>	<u>2011</u>
<b>მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე</b>	<b>6,286</b>	<b>2,770</b>
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
<b>თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით</b>	<b>(943)</b>	<b>(416)</b>
იმ მუხლების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც საგადასახადო მიზნებისთვის გამოქვითვას არ ექვემდებარება:		
საიჯარო ქონების გაუმჯობესება და დღგ	(27)	(129)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(49)	-
დასაკუთრებული უზრუნველყოფის აღიარება	(44)	-
აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივების შებრუნება (მომდევნო პერიოდზე გადატანილი გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი)	584	1,172
<b>მოგება, რომელიც გადასახადით არ იბეგრება:</b>		
საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდებიდან	149	116
საპროცენტო შემოსავალი რეზიდენტ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან	49	49
სხვა	337	(15)
<b>მოგების გადასახადის სარგებელი</b>	<b><u>56</u></b>	<b><u>741</u></b>

(ათასი ლარი)

## 12. გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დინამიკა შესაბამის წლებში შემდეგია:

	2010	მოგება- ზარალის ანგარიშგებაში	2011	მოგება- ზარალის ანგარიშგებაში	2012
<b>დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი:</b>					
მომდევნო პერიოდზე გადატანილი საგადასახადო ზარალი	3,434	(386)	3,048	(416)	2,632
საინვესტიციო ქონება	-	-	-	138	138
<b>მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები</b>	<b>3,434</b>	<b>(386)</b>	<b>3,048</b>	<b>(278)</b>	<b>2,770</b>
<b>აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>(2,402)</b>	<b>1,172</b>	<b>(1,230)</b>	<b>584</b>	<b>(646)</b>
<b>მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი</b>	<b>1,032</b>	<b>786</b>	<b>1,818</b>	<b>306</b>	<b>2,124</b>
არამატერიალური აქტივები, გუდვილის ჩათვლით კლიენტებზე გაცემული სესხები	(792)	(374)	(1,166)	(228)	(1,394)
სხვა აქტივები	(169)	263	94	(253)	(159)
სხვა ვალდებულებები	77	(66)	11	(127)	(116)
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	-	-	-	(47)	(47)
სხვა ფინანსური აქტივები	(584)	186	(398)	355	(43)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	-	-	-	(4)	(4)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	-	(54)	(54)	54	-
<b>მთლიანი გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები</b>	<b>(1,468)</b>	<b>(45)</b>	<b>(1,513)</b>	<b>(250)</b>	<b>(1,763)</b>
<b>გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)</b>	<b>(436)</b>	<b>741</b>	<b>305</b>	<b>56</b>	<b>361</b>

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, ბიზნესის და კაპიტალის დანაკარგების მომდევნო ხუთ წელზე გადატანა შესაძლებელია. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომდევნო პერიოდებზე გადატანილი 9,194 ლარის, 8,164 ლარისა და 189 ლარის ოდენობის საგადასახადო ზარალის ვადა იწურება 2013 წლის 31 დეკემბერს, 2014 წლის 31 დეკემბერსა და 2015 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად.

## 13. სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

სხვა ფინანსური აქტივები მოიცავს შემდეგს:

	2012	2011
ფინანსური აქტივები გაწეული მომსახურებიდან	955	58
მისაღები ავანსები	224	-
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	175	175
ანგარიშსწორებები ფულადი გადარიცხვის ოპერაციებზე	37	188
სხვა დარიცხული აქტივები	233	167
<b>სხვა ფინანსური აქტივები</b>	<b>1,624</b>	<b>588</b>

ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია მოიცავს საქართველოს ბანკებში - სს „თიბისი ბანკსა“ და სს „ლიბერთი ბანკში“ საკორესპონდენტო ანგარიშებზე „ბანკის“ მიერ განთავსებულ ნაშთებს გარანტიის სახით „ბანკის“ კლიენტების მიერ შესრულებული და შესაბამისი კონტრაქტის ბანკების მიერ დამუშავებული ოპერაციებისთვის.

(ათასი ლარი)

**13. სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)**

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	<i>2012</i>	<i>2011</i>
ფინანსური ვალდებულებები მიღებული მომსახურებიდან	470	178
სადეპოზიტო ან საკრედიტო ბარათით შესრულებულ ოპერაციებზე გადასახდელი თანხები	328	355
სვოპ ხელშეკრულებები	80	382
ანგარიშსწორებები ფულადი გადარიცხვის ოპერაციებზე	41	209
კომუნალური მომსახურების ორგანიზაციებისთვის გადასახდელი თანხები	27	26
სხვა დარიცხული ვალდებულებები	222	192
<b>სხვა ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>1,168</b>	<b>1,342</b>

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივის, განაკვეთის ან ინდექსის თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

	<i>2012</i>		<i>2011</i>	
	<i>პირობითი თანხა</i>	<i>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები</i>	<i>პირობითი თანხა</i>	<i>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები</i>
<b>სავალუტო ხელშეკრულებები</b>				
სვოპები - შიდა	61,336	80	90,294	382
<b>სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები</b>		<b>80</b>		<b>382</b>

**14. სხვა აქტივები და ვალდებულებები**

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	<i>2012</i>	<i>2011</i>
დასაკუთრებული უზრუნველყოფა	4,632	4,335
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები	505	126
დასაკუთრებულ უზრუნველყოფაზე გადახდილი ავანსები	413	253
მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები	199	109
სხვა	16	10
<b>სხვა აქტივები</b>	<b>5,765</b>	<b>4,833</b>

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს აქტივს უძრავი ქონების სახით, რომელსაც იძენს „ბანკი“ ვადაგადაცილებული სესხების დაფარვის სანაცვლოდ. „ბანკი“ ახლო მომავალში აპირებს ამ აქტივების გაყიდვას. თუმცა აქტივები არ აკმაყოფილებს გასაყიდად არსებული გრძელვადიანი აქტივების განმარტებას და ისინი კლასიფიცირდება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებად ბასს (IAS) 2-ის "სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები" შესაბამისად ამ აქტივების აღიარება თავდაპირველად მოხდა მათი შეძენისთანავე, თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	<i>2012</i>	<i>2011</i>
დასაკუთრებული უზრუნველყოფის მყიდველებისგან მიღებული ავანსები	335	-
საგადასახადო დავალიანება	394	-
<b>სხვა ვალდებულებები</b>	<b>729</b>	<b>-</b>



(ათასი ლარი)

**15. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე**

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ვალდებულებები მოიცავდა 84 ლარის ოდენობის მოკლევადიან განთავსებებს ქართულ ბანკებში (2011 წ.: 279 ლარი).

**16. ვალდებულებები კლიენტების წინაშე**

ვალდებულებები კლიენტების წინაშე მოიცავს შემდეგს:

	<b>2012</b>	<b>2011</b>
მიმდინარე ანგარიშები	163,448	146,813
ვადიანი ანაზღაურებები	101,508	71,845
<b>ვალდებულებები კლიენტების მიმართ</b>	<b>264,956</b>	<b>218,658</b>
<b>გაცემული გარანტიებისა და აკრედიტივების უზრუნველყოფა (მე-19 შენიშვნა)</b>	<b>(16,549)</b>	<b>(1,383)</b>

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების მიმართ ვალდებულებები 132,246 ლარის (49.9%) ოდენობით მოდიოდა ათ უმსხვილეს მენაზღაურებზე (2011 წ.: 120,239 ლარი (55.0%)).

ვალდებულებები კლიენტების წინაშე მოიცავს შემდეგი ტიპის კლიენტებს:

	<b>2012</b>	<b>2011</b>
კერძო საწარმოები	118,643	63,376
ფიზიკური პირები	101,172	73,779
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები	45,141	81,503
<b>კლიენტთა ანგარიშები</b>	<b>264,956</b>	<b>218,658</b>

კლიენტების მიმართ ვალდებულებების ანალიზი ეკონომიკის სექტორების მიხედვით:

	<b>2012</b>		<b>2011</b>	
	<b>თანხა</b>	<b>%</b>	<b>თანხა</b>	<b>%</b>
ფიზიკური პირები	101,172	38.18	73,779	33.74
არაკომერციული ორგანიზაციები	47,940	18.09	83,894	38.37
ვაჭრობა და მომსახურება	42,465	16.03	18,467	8.45
ენერჯეტიკა	36,286	13.70	7,656	3.50
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	15,099	5.70	8,055	3.68
მშენებლობა	9,902	3.74	14,348	6.56
სხვა	12,092	4.56	12,459	5.70
<b>ვალდებულებები კლიენტების მიმართ</b>	<b>264,956</b>	<b>100.0</b>	<b>218,658</b>	<b>100.0</b>

**17. სუბორდინირებული ვალი**

სუბორდინირებული ვალი მოიცავს შემდეგს:

	<b>2012</b>	<b>2011</b>
შპს "სტანდარტ კაპიტალ საქართველო" (გამოხატული აშშ დოლარში, გაცემული 2005 წლის 29 სექტემბერს; ყოველწლიური 10 თანაბარი შენატანით, წლიური 11%-იანი საპროცენტო განაკვეთით, დასაფარია 2025 წლის 29 სექტემბრამდე	4,993	5,037
შპს "სტანდარტ კაპიტალ საქართველო" (გამოხატული აშშ დოლარში, გაცემული 2006 წლის 15 დეკემბერს; ყოველწლიური 10 თანაბარი შენატანით, წლიური 11%-იანი საპროცენტო განაკვეთით, დასაფარია 2026 წლის 15 დეკემბრამდე	3,343	3,371
<b>სუბორდინირებული ვალი</b>	<b>8,336</b>	<b>8,408</b>

ლიკვიდაციის შემთხვევაში სუბორდინირებული ვალი დაიფარება ყველა სხვა კრედიტორის გასტუმრების შემდეგ.

(ათასი ლარი)

## 18. კაპიტალი

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული, გამოშვებული და მთლიანად განაღდებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 99 516 აქციას (2011 წ.: 99 516 აქცია). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 100 ლარი (2011 წ.: 100 ლარი). თითოეული ჩვეულებრივი აქცია სარგებლობს ერთი ხმის უფლებით.

ქვემოთ მოცემულია 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული აქციები:

	<i>ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა (ათასი)</i>	<i>ჩვეულებრივი აქციების თანხობრივი ოდენობა (ათასი)</i>
<b>31 დეკემბერი, 2010 წ.</b>	<b>750</b>	<b>75,000</b>
სააქციო კაპიტალის გაზრდა	245	24,516
<b>2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>995</b>	<b>99,516</b>

2011 წლის 18 მაისს „ბანკის“ აქციონერებმა დაამტკიცეს 245 ათასი ჩვეულებრივი აქციის გამოშვება. 2011 წელს მიღებულმა თანხამ შეადგინა 24,516 ლარი.

## 19. პირობითი ვალდებულებები

### სამართლებრივი გარემო

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, „ჯგუფის“ წინააღმდეგ შესაძლოა აღიმძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

### პირობითი ფინანსური ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფის“ პირობითი ვალდებულებები შემდეგია:

	<i>2012</i>	<i>2011</i>
<b>საკრედიტო ვალდებულებები</b>		
აკრედიტივები	14,646	-
გამოუყენებელი სასესხო ვალდებულებები	3,939	5,333
გაცემული გარანტიები	2,168	1,947
	<b>20,753</b>	<b>7,280</b>
<b>ვალდებულებები საოპერაციო იჯაროდან</b>		
არაუგვიანეს 1 წლისა	1,794	1,743
1 წელზე გვიან, მაგრამ არაუგვიანეს 5 წლისა	3,922	3,754
5 წელზე გვიან	787	291
	<b>6,503</b>	<b>5,788</b>
<b>პირობითი ვალდებულებები (უზრუნველყოფის გამოქვითვამდე)</b>	<b>27,256</b>	<b>13,068</b>
გამოკლებული – გაცემული გარანტიებისა და აკრედიტივების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ნაღდი ფული (მე-16 შენიშვნა)	(16,549)	(1,383)
<b>პირობითი ვალდებულებები</b>	<b>10,707</b>	<b>11,685</b>

(ათასი ლარი)

**20. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი**

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	<b>2012</b>	<b>2011</b>
კლიენტებზე გაცემული სესხები	41,851	31,081
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	5,107	5,087
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	991	775
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>47,949</b>	<b>36,943</b>
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	17,664	13,566
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	2,895	2,798
სუბორდინირებული ვალი	911	928
<b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>	<b>21,470</b>	<b>17,292</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>26,479</b>	<b>19,651</b>

**21. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი**

საკომისიო შემოსავალი მოიცავდა შემდეგს:

	<b>2012</b>	<b>2011</b>
საკასო ოპერაციები	2,937	2,739
ფულადი ოპერაციები	1,258	1,351
ანგარიშსწორების ოპერაციები	966	605
გაცემული გარანტიები	87	33
სხვა	30	12
<b>საკომისიო შემოსავალი</b>	<b>5,278</b>	<b>4,740</b>
საკომისიო ხარჯი მოიცავს შემდეგს:		
საკომისიო ხარჯი სამეურვეო მომსახურებისთვის	1,349	1,362
ანგარიშსწორების ოპერაციები	522	232
ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები	140	176
ფულადი ოპერაციები	81	38
სხვა	1,378	996
<b>საკომისიო ხარჯი</b>	<b>3,470</b>	<b>2,804</b>
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>1,808</b>	<b>1,936</b>

**22. სხვა საოპერაციო შემოსავალი**

	<b>2012</b>	<b>2011</b>
შემოსავალი ჯარიმებიდან	164	144
სხვა	75	98
<b>სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ</b>	<b>239</b>	<b>242</b>

**23. ხელფასები, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები**

თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	<b>2012</b>	<b>2011</b>
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	9,274	8,745
<b>თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი</b>	<b>9,274</b>	<b>8,745</b>

(ათასი ლარი)

### 23. ხელფასები, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გაგრძელება)

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2012	2011
შენობა-ნაგებობების და აღჭურვილობის საოპერაციო იჯარის ხარჯი	2,187	2,184
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	594	697
შენობის დაცვის ხარჯი	453	482
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	426	321
საოფისე ინვენტარი	344	380
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	324	355
ტრანსპორტირება და ინკასაცია	288	85
პროფესიული მომსახურება	269	178
ავტოტრანსპორტზე გაწეული ხარჯი	178	176
დასაკუთრებული უზრუნველყოფის გასხვისების შედეგად მიღებული ზარალი	165	132
შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების გაყიდვის შედეგად მიღებული ზარალი	162	307
დაზღვევა	119	215
სამივილინგო ხარჯები	63	66
პლასტიკური ბარათით შესრულებული ოპერაციების ხარჯები	29	52
გადახდილი ჯარიმა და საურავი	23	11
საფოსტო მომსახურების ხარჯები	14	15
სხვა ხარჯები	389	339
<b>ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები</b>	<b>6,027</b>	<b>5,995</b>

### 24. რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციის გატარება „ბანკში“ ხდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებაში. ფინანსური რისკი მოიცავს ბაზრის (სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ რისკი დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

#### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. საკრედიტო რისკი „ბანკს“ ექმნება კონტრაპტენტებთან მისი საკრედიტო და სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსური აქტივების წარმოქმნას.

„ბანკი“ საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს ლიმიტების დაწესების გზით, რომელიც მზადაა „ბანკმა“ მიიღოს ცალკეულ მსესხებელზე ან მსესხებლების „ჯგუფზე“ ან ცალკეულ გეოგრაფიულ არეალზე თუ დარგობრივ სეგმენტზე. საკრედიტო რისკის დონეებს პროდუქტებისა და დარგობრივი სექტორების მიხედვით რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება სისტემატურად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

- „ბანკმა“ შექმნა რამდენიმე საკრედიტო კომიტეტი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ცალკეული მსესხებლებისათვის საკრედიტო ლიმიტების დამტკიცებაზე;
- სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტს 500 ათასი აშშ დოლარის ზემოთ (ეკვივალენტი თანხა ლარში) და იკრიბება რეგულარულად;
- ზედა დონის საკრედიტო კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტს 500 ათას აშშ დოლარამდე (ეკვივალენტი თანხა ლარში) და იკრიბება რეგულარულად. კომიტეტი აგრეთვე პასუხისმგებელია, რომ შესაბამისი მითითებები მისცეს ქვედა დონის საკრედიტო კომიტეტებს;

(ათასი ლარი)

**24. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ქვედა დონის საკრედიტო კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტს 50 ათას აშშ დოლარამდე (ეკვივალენტი თანხა ლარში) და იკრიბება რეგულარულად.

სასესხო განაცხადებს აფორმებენ კლიენტებთან ურთიერთობის შესაბამისი მენეჯერების და შემდეგ გადასცემენ შესაბამის საკრედიტო კომიტეტს საკრედიტო ლიმიტის დასამტკიცებლად. საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება გირაოს ამოღებითა და გარანტიების, ასევე ფიზიკური პირების თავდებობების მიღებით.

საკრედიტო რისკის გაკონტროლების მიზნით, საკრედიტო განყოფილების თანამშრომლები წარადგენენ სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე მომზადებულ რეგულარულ ანგარიშებს კლიენტის საქმიანობისა და ფინანსური შედეგების შესახებ. ნებისმიერი მნიშვნელოვანი სესხი გაცემული კლიენტზე, რომლის კრედიტუნარიანობა უარესდება, განსახილველად გადაეცემა დირექტორთა საბჭოს. საკრედიტო რისკის გასაკონტროლებლად „ბანკი“ არ იყენებს ფორმალურ შიდა საკრედიტო რეიტინგებს. ხელმძღვანელობა ახდენს ვადაგადაცილებული ნაშთების მუდმივ მონიტორინგს.

*საკრედიტო რეიტინგი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით*

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი იმართება „ჯგუფის“ შიდა საკრედიტო სარეიტინგო სისტემით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში საკრედიტო ხარისხი წარმოდგენილია აქტივების ტიპების მიხედვით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების არასაკრედიტო მუხლებისთვის, „ჯგუფის“ საკრედიტო რეიტინგის სისტემაზე დაყრდნობით.

	შენიშვნები	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული			ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	ინდივიდუალურად გაუფასურებული	სულ 2012
		მაღალი შეფასება 2012	სტანდარტული შეფასება 2012	ქვესტანდარტული შეფასება 2012	2012	2012	
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში		24,542	-	-	-	-	<b>24,542</b>
კლიენტებზე გაცემული სესხები	6						
კორპორატიული სესხები		3,891	27,852	5,341	10,666	9,492	<b>57,242</b>
სალომბარდო სესხები		94,739	-	-	-	-	<b>94,739</b>
სამომხმარებლო სესხები		3,507	3,868	20,047	430	5,101	<b>32,953</b>
იპოთეკური სესხები		-	15,162	-	865	2,585	<b>18,612</b>
ინდ.მეწარმეებზე გაცემული სესხები		-	6,339	4,175	846	1,704	<b>13,064</b>
		<b>102,137</b>	<b>53,221</b>	<b>29,563</b>	<b>12,807</b>	<b>18,882</b>	<b>216,610</b>
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7						
დაფარვის ვადამდე ფლობილი სხვა ფინანსური აქტივები	13	18,017	-	-	-	-	<b>18,017</b>
		<b>1,624</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>1,624</b>
		<b>19,641</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>19,641</b>
<b>სულ</b>		<b>146,320</b>	<b>53,221</b>	<b>29,563</b>	<b>12,807</b>	<b>18,882</b>	<b>260,793</b>

(ათასი ლარი)

**24. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

შენიშვნები	არც გადაგადაცილებული და არც გაუფასურებული			გადაგადაცი-	ინდივიდუ-	სულ 2011
	მაღალი შეფასება 2011	სტანდარ- ტული შეფასება 2011	ქვესტანდარ- ტული შეფასება 2011	ლებული, მაგრამ არა გაუფასურე- ბული 2011	ალურად გაუფასურე- ბული 2011	
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	18,648	-	-	-	-	<b>18,648</b>
კლიენტებზე გაცემული სესხები 6						
კორპორატიული სესხები	4,630	44,989	6,537	9,156	8,908	<b>74,220</b>
სალომბარდო სესხები	70,818	-	-	-	-	<b>70,818</b>
სამომხმარებლო სესხები	2,704	3,521	15,879	1,666	2,811	<b>26,581</b>
იპოთეკური სესხები	-	13,591	120	367	872	<b>14,950</b>
ინდ.მეწარმეებზე გაცემული სესხები	-	4,474	3,964	713	1,734	<b>10,885</b>
	<b>78,152</b>	<b>66,575</b>	<b>26,500</b>	<b>11,902</b>	<b>14,325</b>	<b>197,454</b>
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 7						
დაფარვის ვადამდე ფლობილი	8,824	-	-	-	-	<b>8,824</b>
სხვა ფინანსური აქტივები 13	588	-	-	-	-	<b>588</b>
	<b>9,412</b>	-	-	-	-	<b>9,412</b>
<b>სულ</b>	<b>106,212</b>	<b>66,575</b>	<b>26,500</b>	<b>11,902</b>	<b>14,325</b>	<b>225,514</b>

ვადაგადაცილებული სესხები მოიცავს მხოლოდ იმ სესხებს, რომლებიც ვადაგადაცილებულია მხოლოდ რამდენიმე დღით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადაგადაცილებული სესხების ანალიზს ხანდაზმულობის მიხედვით. ვადაგადაცილებული სესხების უმრავლესობა არ მიიჩნევა გაუფასურებულად.

„ბანკის“ პოლიტიკა ითვალისწინებს მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკების ზუსტ და სისტემატურ შეფასებას. რისკის რეიტინგები ექვემდებარება მუდმივ შეფასებასა და განახლებას.

„ბანკის“ საკრედიტო რისკების შეფასების პოლიტიკის მიხედვით ვადაგადაცილებული და ინდივიდუალურად არაგაუფასურებული ფინანსური აქტივები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ვადაგადაცილებული ფინანსური აქტივი, რომელიც უზრუნველყოფილია დეპოზიტით ან ძვირფასი ლითონებით განეკუთვნება მაღალი შეფასების კატეგორიას; „ჯგუფი“ სეზ-ში სავალდებულო რეზერვებს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქებსა და ობლიგაციებს და სეზ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატებსაც მაღალი შეფასების ფინანსურ აქტივებს მიაკუთვნებს;

ვადაგადაცილებული ფინანსური აქტივი, რომელიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით განეკუთვნება სტანდარტული შეფასების კატეგორიას;

ვადაგადაცილებული ფინანსური აქტივი, რომელიც უზრუნველყოფილია სხვა ტიპის აქტივით, განეკუთვნება ქვესტანდარტული შეფასების კატეგორიას

(ათასი ლარი)

**24. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ხანდაზმულობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგია:

	30 დღეზე ნაკლები 2012	31-დან 60 დღემდე 2012	61-დან 90 დღემდე 2012	90 დღეზე მეტი 2012	სულ 2012
კლიენტებზე გაცემული სესხები					
კორპორატიული სესხები	260	2,991	6,338	1,077	10,666
სამომხმარებლო სესხები	362	22	16	30	430
იპოთეკური სესხები	474	197	10	184	865
ინდ.მეწარმეებზე გაცემული სესხები	22	-	37	787	846
<b>სულ</b>	<b>1,118</b>	<b>3,210</b>	<b>6,401</b>	<b>2,078</b>	<b>12,807</b>

	30 დღეზე ნაკლები 2011	31-დან 60 დღემდე 2011	61-დან 90 დღემდე 2011	90 დღეზე მეტი 2011	სულ 2011
კლიენტებზე გაცემული სესხები					
კორპორატიული სესხები	789	330	-	8,037	9,156
სამომხმარებლო სესხები	1,373	91	92	110	1,666
იპოთეკური სესხები	148	-	156	63	367
ინდ.მეწარმეებზე გაცემული სესხები	57	10	-	646	713
<b>სულ</b>	<b>2,367</b>	<b>431</b>	<b>248</b>	<b>8,856</b>	<b>11,902</b>

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე-6 შენიშვნა.

საკრედიტო რისკი გარეგანსური ფინანსური ინსტრუმენტებისათვის განისაზღვრება იმ ზარალის მიღების შესაძლებლობით, რომელიც გამოწვეულია ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტორი მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით. პირობითი ვალდებულებების აღებისას „ბანკი“ იყენებს იმავე საკრედიტო პოლიტიკას, რასაც ბალანსური ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, კრედიტის დამტკიცების დადგენილი პროცედურის, დაწესებული რისკის კონტროლის ლიმიტებისა და მონიტორინგის პროცედურების შესაბამისად.

რესტრუქტურული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს რესტრუქტურული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას კატეგორიების მიხედვით:

	2012	2011
კლიენტებზე გაცემული სესხები		
კორპორატიული სესხები	7,431	8,731
სამომხმარებლო სესხები	314	177
იპოთეკური სესხები	423	310
ინდ.მეწარმეებზე გაცემული სესხები	435	79
<b>სულ</b>	<b>8,603</b>	<b>9,297</b>

(ათასი ლარი)

## 24. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

#### გაუფასურების შეფასება

სესხების გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ, მოხდა თუ არა ძირითადი თანხის ან პროცენტის ვადაგადაცემა 90 დღეზე მეტი ვადით ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შემთხვევაში. გარდა ამისა, ყურადღება ექცევა რაიმე სახის მიმდინარე სირთულეს კონტრაქტის ფულადი სახსრების მიმოქცევაში, კრედიტუნარიანობის გაუარესებას და ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტს. გაუფასურებული სესხების შეფასებას „ჯგუფი“ ახორციელებს ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებული რეზერვების მიხედვით.

#### ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურება

თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის „ჯგუფი“ ადგენს შესაფერის რეზერვს. გადაწყვეტილება დამოკიდებულია კონტრაქტის ბიზნეს-გეგმის მდგრადობაზე, ფინანსური პრობლემის გამოსწორების შესაძლებლობებზე ფინანსური, დაგეგმილ მისაღებ თანხებსა და მოსალოდნელ დივიდენდებზე გაკოტრების შემთხვევაში, სხვა ხელმისაწვდომ ფინანსურ მხარდაჭერაზე, უზრუნველყოფის რეალიზებად ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დროულობაზე. გაუფასურების ხარჯები ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაუთვალისწინებელი მიზეზები მოითხოვს უფრო დეტალურ ყურადღებას.

#### კოლექტიურად შეფასებული გაუფასურება

გაუფასურების რეზერვის კოლექტიური შეფასების მეთოდი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი (მათ შორის საკრედიტო ბარათები, იპოთეკა და უზრუნველყოფის არმქონე სამომხმარებლო სესხები) ან ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხებისათვის, სადაც არ ფიქსირდება ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების ხარჯები ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად.

გაუფასურების კოლექტიური შეფასება ითვალისწინებს იმ გაუფასურებასაც, რომელიც წარმოდგენილია პორტფელში მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურ შეფასების დროს არ ჩანს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები ფასდება შემდეგ ინფორმაციაზე დაყრდნობით: პორტფელთან დაკავშირებული ისტორიული ზარალი, არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, დროის მონაკვეთის ხანგრძლივობა ზარალის სავარაუდო წარმოშობიდან ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის საჭიროების დადგენამდე, აგრეთვე გაუფასურების შემდგომ მოსალოდნელი მისაღები და ამოღებული თანხები. ადგილობრივი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განსაზღვროს დროის ის მონაკვეთი, რომლის შემდეგაც სესხი გაუფასურებულად გამოცხადდება. ზემოაღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობამ შეიძლება ერთი წელიც შეადგინოს. გაუფასურების რეზერვის შესაბამისობას „ჯგუფის“ საერთო პოლიტიკასთან ამოწმებს საკრედიტო განყოფილების ხელმძღვანელობა.

სესხებისთვის ფინანსური გარანტიები ფასდება და რეზერვები იქმნება ანალოგიური წესით.



(ათასი ლარი)

**24. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

„ჯგუფის“ აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2012				2011			
	საქართველო	ეთგო	დსთ და სხვა უცხოური ბანკები	სულ	საქართველო	ეთგო	დსთ და სხვა უცხოური ბანკები	სულ
<b>აქტივები</b>								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	49,909	14,289	586	64,784	39,004	2,820	122	41,946
სავალდებულო რეზერვები								
საქართველოს ეროვნულ ბანკში	24,542	-	-	24,542	18,648	-	-	18,648
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	204,007	-	-	204,007	186,873	-	-	186,873
სხვა ფინანსური აქტივები	18,017	-	-	18,017	8,824	-	-	8,824
სულ სხვა აქტივები	1,624	-	-	1,624	588	-	-	588
	47,644	-	-	47,644	50,811	-	-	50,811
	<b>345,743</b>	<b>14,289</b>	<b>586</b>	<b>360,618</b>	<b>304,748</b>	<b>2,820</b>	<b>122</b>	<b>307,690</b>
<b>ვალდებულებები</b>								
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	84	-	-	84	279	-	-	279
კლიენტთა ანგარიშები	261,446	3,510	-	264,956	216,914	1,744	-	218,658
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,168	-	-	1,168	1,342	-	-	1,342
სუბორდინირებული ვალი	8,336	-	-	8,336	8,408	-	-	8,408
სხვა ვალდებულებები	729	-	-	729	-	-	-	-
	<b>271,763</b>	<b>3,510</b>	<b>-</b>	<b>275,273</b>	<b>226,943</b>	<b>1,744</b>	<b>-</b>	<b>228,687</b>
<b>წმინდა აქტივები</b>	<b>73,980</b>	<b>10,779</b>	<b>586</b>	<b>85,345</b>	<b>77,805</b>	<b>1,076</b>	<b>122</b>	<b>79,003</b>

**ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. აქ იგულისხმება ფულის იმ საჭირო ოდენობის არსებობა, რომელიც დააკმაყოფილებს დეპოზიტების თანხების გატანას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებებს მათი ვადის მოსვლის შემთხვევაში. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ფინანსური ინსტიტუტების მართვისთვის. ლიკვიდურობის რისკის სამართავად, „ბანკი“ ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებსა და საბანკო ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოძრაობის შეფასებით, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის შემადგენელ ნაწილს. დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო აწესებენ ლიმიტებს დასაფარო თანხის მინიმალურ ნაწილზე ანაზღაურებულ თანხის გატანის შემთხვევაში, ასევე ბანკთაშორისი და სასესხო საშუალებების იმ მინიმალურ ნაწილზე, რომელიც უნდა ეყოს თანხაზე მოთხოვნას როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ ვითარებაში. ისინი ასევე ადგენენ პარამეტრებს ვალდებულების ბაზის რისკის დივერსიფიკაციისათვის.

„ბანკის“ ლიკვიდურობის პოლიტიკა მოიცავს შემდეგს:

- ფულადი ნაკადების პროგნოზირება და ლიკვიდური აქტივების საკმარისი დონის შენარჩუნება დროის სხვადასხვა მონაკვეთში „ბანკის“ ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად;
- „ბანკის“ სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისი დაფინანსების გეგმის შენარჩუნება;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას და ამით როგორც ქვეყნის შიდა, ისე უცხოური წყაროებიდან „ბანკის“ მიერ სესხების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესება;
- მაღალი ლიკვიდურობის და მაღალი ხარისხის აქტივების შენარჩუნება;
- პროდუქტების ბაზის ცვლილება დროის შუალედებში დაფინანსების არსებული წყაროების შესაბამისად;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების ყოველდღიური მონიტორინგი მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; და
- დროის ნებისმიერ შუალედში აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის მუდმივი მონიტორინგი.

(ათასი ლარი)

**24. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)**

„ბანკის“ სახაზინო განყოფილებას შემდეგი პასუხისმგებლობა აკისრია:

- საქართველოს ეროვნული ბანკის ლიკვიდურობის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე შესაბამისობა ლიკვიდობის მოთხოვნების იმ მუხლებთან, რომლებიც შედის უცხოურ კრედიტორებთან დადებულ ხელშეკრულებებში;
- ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველდღიური ანგარიში, მათ შორის ხელმძღვანელობის ინფორმირება ძირითად ვალუტებში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო) ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზის შესახებ, ასევე სალაროს ნაშთისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცვლილებების შესახებ;
- ლიკვიდური აქტივების დონის მუდმივი კონტროლი/მონიტორინგი;
- დეპოზიტებისა და სხვა ვალდებულებების კონცენტრაციის მონიტორინგი; და
- ფულადი სახსრების სწრაფად გაზრდის გეგმის ქონა, რათა სტრესულ ვითარებაში ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით.

ლიკვიდურობის პოზიციას „ჯგუფი“ აფასებს და მართავს ცალკე აღებული კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს კოეფიციენტები იყო:

	2012, %	2011, %
წლის საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	41.64%	41.14%
მაქსიმალური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	47.32%	48.39%
მინიმალური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	36.99%	31.48%

2012 წლისთვის „ბანკის“ საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი, ლიკვიდურობის შესახებ სებ-ის დებულების თანახმად, შეადგენს 41.64%-ს (2011 წ.: 41.14%), რაც მინიმალურ 30%-იან მოთხოვნაზე მაღალია.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სახაზინო განყოფილების მიერ „ბანკის“ ლიკვიდურობის პოზიციის ჯეროვნად მართვა. რისკის მართვის განყოფილებას ევალება ამ საქმიანობათა გაკონტროლება. ლიკვიდურობის პოზიციასთან და მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს დირექტორთა საბჭო იღებს.

*ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით*

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფის“ ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. მიუხედავად ამისა „ჯგუფი“ მოელის, რომ კლიენტები არ მოითხოვენ ვალდებულებების დაუყოვნებლივ დაფარვას. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულადი ნაკადებს, რომელიც ეფუძნება დეპოზიტების ისტორიულ სტატისტიკურ მონაცემებს.

<i>ფინანსური ვალდებულებები</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
<b>2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	84	-	-	-	84
კლიენტთა ანგარიშები	185,439	73,045	12,772	58	271,314
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,168	-	-	-	1,168
სუბორდინირებული ვალი	279	684	3,645	15,770	20,378
<b>სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>186,970</b>	<b>73,729</b>	<b>16,417</b>	<b>15,828</b>	<b>292,944</b>

(ათასი ლარი)

## 24. რისკის მართვა (გაგრძელება)

### ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

<i>ფინანსური ვალდებულებები</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
<b>2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	279	–	–	–	<b>279</b>
კლიენტთა ანგარიშები	183,289	32,882	5,485	2,613	<b>224,269</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,342	–	–	–	<b>1,342</b>
სუბორდინირებული ვალი	284	689	3,675	17,740	<b>22,388</b>
<b>სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>185,194</b>	<b>33,571</b>	<b>9,160</b>	<b>20,353</b>	<b>248,278</b>

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკონტრაქტო ვადის ამოწურვას „ჯგუფის“ პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით. თითოეული გამოუყენებელი სესხის პირობითი ვალდებულება შეტანილია იმ ყველაზე ადრეული თარიღით, როდესაც შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება. გამოშვებული ფინანსური საგარანტიო კონტრაქტების შემთხვევაში, გარანტიის მაქსიმალური თანხა ნაწილდება იმ ყველაზე ადრეულ პერიოდზე, როდესაც შესაძლებელი იქნება გარანტიის გამოთხოვნა

	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
2012	4,857	17,601	4,010	787	<b>27,255</b>
2011	6,167	2,786	3,829	286	<b>13,068</b>

„ბანკის“ ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში (მე-4 შენიშვნა).

### საბაზრო რისკი

„ბანკს“ ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკები წარმოიშობა სავალუტო პროდუქტების ღია პოზიციების გამო, რომლებიც დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს „ჯგუფის“ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. დირექტორთა საბჭოს სეზ-ის დირექტივების მიხედვით აქვს დაწესებული ლიმიტები სავალუტო პოზიციებზე. პოზიციების კონტროლი წარმოებს ყოველდღიურად.

(ათასი ლარი)

## 24. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საბაზრო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებში გამოხატულ არაკომერციულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე „ჯგუფს“ 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი აქვს. ანალიზის დროს, ფასდება უცხოური ვალუტის ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც მოგება-ზარალის ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრნობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). კაპიტალზე ეფექტი არ განსხვავდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტისგან. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის ანგარიშგებას ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

ვალუტა	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება 2012		სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება 2011	
	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
აშშ დოლარი	(0.48)	(8.8)	1	(2.7)
ევრო	(3.31)	(0.1)	(2.86)	1

### საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. „ჯგუფი“ ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, „ჯგუფი“ შეძლებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლის სისტემა ითვალისწინებს მოვალეობების ეფექტურ განაწილებას, ხელმისაწვდომობას, უფლებამოსილების მინიჭებისა და შედარების პროცედურებს, კადრების მომზადების და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის გამოყენებას.

## 25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

შეფასების ტექნიკის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და წარდგენისათვის „ჯგუფი“ შემდეგ იერარქიას იყენებს:

- დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს.

შემდეგ ცხრილში მოცემულია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი იერარქიული დონეების მიხედვით:

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	–	80	–	80
	–	<b>80</b>	–	<b>80</b>
<b>2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>				
<b>ფინანსური აქტივები</b>				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	–	382	–	382
	–	<b>382</b>	–	<b>382</b>

(ათასი ლარი)

**25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)**

*სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები*

ქვემოთ აღწერილია შეფასების ტექნიკით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რაც მოიცავს „ჯგუფის“ მიერ იმ დაშვებების განსაზღვრას, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გააკეთებდნენ ინსტრუმენტის შეფასების დროს.

*წარმოებული ინსტრუმენტები*

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, წარმოადგენს სავალუტო სვოპ კონტრაქტებს. შეფასებებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდია მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპის მოდელს, რომლისთვისაც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება. მოდელი მოიცავს სხვადასხვა მონაცემებს, მათ შორის, უცხოური ვალუტის გაცვლის სპოტ კურსებს.

*ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ აღირიცხებიან სამართლიანი ღირებულებით*

წინამდებარე ცხრილში გაწერილია „ჯგუფის“ იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

	<i>საბალანსო ღირებულება 2012</i>	<i>სამართლიანი ღირებულება 2012</i>	<i>უდიარებელი მოგება/ (ზარალი) 2012</i>	<i>საბალანსო ღირებულება 2011</i>	<i>სამართლიანი ღირებულება 2011</i>	<i>უდიარებელი მოგება/ (ზარალი) 2011</i>
<b>ფინანსური აქტივები</b>						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	64,784	64,784	-	41,946	41,946	-
სავალდებულო რეზერვები სებ-ში კლიენტებზე გაცემული სესხები	24,542	24,542	-	18,648	18,648	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	204,007	203,614	(393)	186,873	186,503	(370)
- დაფარვის ვადამდე ფლობილი სხვა ფინანსური აქტივები	18,017	18,017	-	8,824	8,824	-
	1,624	1,624	-	588	588	-
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	84	84	-	279	279	-
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	264,956	264,956	-	218,658	218,658	-
სუბორდინირებული ვალი	8,336	8,336	-	8,408	8,408	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,168	1,168	-	1,342	1,342	-
<b>არარეალიზებული სამართლიანი ღირებულების მთლიანი უდიარებელი ცვლილება</b>			<b>(393)</b>			<b>(370)</b>

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

*აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას*

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებს და შემნახველ ანგარიშებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე კონკრეტული ვადები.

*ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები*

არაკოტირებული სასესხო ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

(ათასი ლარი)

**26. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი აღდგენა ან დაფარვა. რისკის მართვა „ჯგუფის“ საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებისათვის იხილეთ 24-ე შენიშვნა.

	2012			2011		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	64,784	–	64,784	41,946	–	41,946
სავალდებულო რეზერვები						
საქართველოს ეროვნულ ბანკში კლიენტებზე გაცემული სესხები	24,542	–	24,542	18,648	–	18,648
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - დაფარვის ვადაზე ფლობილი სხვა ფინანსური აქტივები	141,932	62,075	204,007	120,386	66,487	186,873
	15,510	2,507	18,017	4,694	4,130	8,824
	1,449	175	1,624	413	175	588
<b>სულ</b>	<b>248,217</b>	<b>64,757</b>	<b>312,974</b>	<b>186,087</b>	<b>70,792</b>	<b>256,879</b>
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	84	–	84	279	–	279
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	254,416	10,540	264,956	212,250	6,408	218,658
სუბორდინირებული ვალი	–	8,336	8,336	55	8,353	8,408
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,168	–	1,168	1,342	–	1,342
<b>სულ</b>	<b>255,668</b>	<b>18,876</b>	<b>274,544</b>	<b>213,926</b>	<b>14,761</b>	<b>228,687</b>
<b>წმინდა</b>	<b>(7,451)</b>	<b>45,881</b>	<b>38,430</b>	<b>(27,839)</b>	<b>56,031</b>	<b>28,192</b>

„ჯგუფის“ მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი დამოკიდებულია მის მიერ დროის იმავე მონაკვეთში ეკვივალენტური ოდენობის აქტივების რეალიზაციაზე. არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულების გეპი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია ერთ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში. ლიკვიდურობის გეპის შესახებ „ბანკის“ ხელმძღვანელობის შეფასებისა და განხილვისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

**27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები**

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

(ათასი ლარი)

**27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი მოგება და ხარჯი წლის განმავლობაში ასეთია:

	2012			2011		
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები	სხვა დაკავშირებული მხარეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები	სხვა დაკავშირებული მხარეები
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	2,919	1	134	7,882	-	-
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,305	116	65	336	-	-
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	1,449	-	41	595	1	-
საპროცენტო ხარჯი ანაზღაურებზე	9	1	2	20	1	-

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობის ძირითადი წარმომადგენლების და სხვა დაკავშირებული მხარეების მიერ გამოუყენებელი სესხები შეადგენდა 10 ლარს და 3 ლარს, შესაბამისად (2011 წ.: ნული).

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	2012	2011
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	934	898
<b>სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება</b>	<b>934</b>	<b>898</b>

2012 წელს ძირითადი ხელმძღვანელობა 4 პირით იყო წარმოდგენილი (2011 წ.: 4)

**28. კაპიტალის ადეკვატურობა**

„ჯგუფი“ ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. „ჯგუფის“ კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა მეთოდიკით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

„ჯგუფის“ კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია (i) „ბანკის“ შესაბამისობის უზრუნველყოფა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნებთან (ii) „ბანკის“ ფუნქციონირებად საწარმოდ შენარჩუნება (iii) კაპიტალის საკმარისი დონის შენარჩუნება, რომ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტმა შეადგინოს სულ მცირე 12%. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან შესაბამისობის შემოწმება ხდება ყოველთვიურად საანგარიშო მოხსენების სახით, რომელშიც ნაჩვენებია შესაბამისი გამოთვლები და რომელსაც ხელს აწერს „ბანკის“ გენერალური დირექტორი და მთავარი ბუღალტერი, რის შემდეგაც საანგარიშო მოხსენება იგზავნება სებ-ში.

„ჯგუფი“ მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტორების მიზნით, ჯგუფმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით. წინა წლებიდან „ბანკის“ მიზნები, სტრატეგია და პროცედურები არ შეცვლილა.

(ათასი ლარი)

**28. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)**

**სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი**

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით კომერციულმა ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი რისკებთან შეწონილი აქტივების 12%-ის ოდენობით, რაც გამოითვლება „ბანკის“ დამოუკიდებელი, სპეციალური დანიშნულების ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც მზადდება საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებებისა და აქტების შესაბამისად. 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბანკის“ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო:

	<b>2012</b>	<b>2011</b>
ძირითადი კაპიტალი	47,902	43,641
დამატებითი კაპიტალი	16,977	14,592
გამოკლებული: გამოქვითვები კაპიტალიდან	(500)	(500)
<b>სულ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>64,379</b>	<b>57,733</b>
<b>რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები</b>	<b>437,814</b>	<b>408,350</b>
<b>სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი</b>	<b>14.70%</b>	<b>14.14%</b>
<b>პირველი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი</b>	<b>10.94%</b>	<b>10.69%</b>